დეკემბერი
1938 წ.
№ 152
პარიზი

# დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
DECEMBRE
1938 — № 152
Paris

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

მინაარსი:

მეთაური—1939 წლის პერსპექტივები.
ი. სალაყაია—ევროპა დიდი ომის შემდეგ.
ქ. მარტენის და ა. მალშის სიტყვები.
«მომავალი»-ს პატრიოტები.
გრ. ღრაგველიძე—პოლონეთი 20 წლის თავზე.
ს. მავიშვილი—ვის ატყვილებენ?
ნ. ი.—«ნავთი და მაჰმადი».
ნაური—წერილი ამერიკიდან.
მეგობარი—მარიამ კობერიძე.
ნ. იმნაიშვილი—ოლია რამიშვილი.
მქ. თაყაიშვილი—ანგარიში.
დამოუკ. საქართველოს 1938 წ. სარჩევი. და სხვ.

## 1939 წლის პერსპექტივები

დასრულდა ძველი წელიწადი, აღსავსე დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო ამბებით და კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი შედეგებით, რომელიც, შესაძლოა, დამდეგმა ახალმა წელმა დაგვიტოვოს—მხედველობაში გვაქვს, უწინარეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის ყოფნა-არყოფნის კითხვის წეს-რიგში დასმა.

რამდენი წელიწადია ჩვენ ამ დღეს მოველოდით, რამდენჯერ გაგვცრუებია იმედი! მაგრამ განა მარტო ჩვენ? ვინ იფიქრებდა, რომ რეჟიმი, რომელიც იქ მძვინვარებს, 21 წელიწადს გასტანდა? მაგრამ ამაში თითქო დაინტერესებულნიც კი იყვნენ უცხო ქვეყნები, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოები, რომელნიც გულგრილად შესცქეროდენ 150 მილიონ ადამიანის გამოუთქმელ ტანჯვა-ვაებას, ჩაგრულ ერთა თავგანწირულ ბრძოლებს, აჯანყებებს და მათი სისხლში ჩახრჩობას... რამდენი მსხვერპლი, რამდენი საგმირო საქმე! ხოლო უცხო სახელმწიფოები ეგრედ წოდებულ ნორმალურ დამოკიდებულებაში შედიოდენ კრემლის მტარვალებთან, ეხმარებოდენ მათ თავის კრედიტით, ტექნიკით, ინსტრუქტორებით. არავისთვის არაა საეჭვო, რომ, თუ არა ეს დახმარება, ბოლშევიკები ვერ შესძლებდენ, გაეტარებიათ სამრეწველო ხუთწლედები და კოლექტივიზაცია, ან კიდევ აქამდის შეენარჩუნებიათ ველური მართვა-გამგეობა.

დღეს კი ხშირად ვკითხულობთ უცხოეთის პრესაში, თვით რუსი ემიგრანტებიც არ მალავენ, რომ საბჭოთა რეჟიმი ლპება, «დოგნივაეტ»—როგორც ისინი ამბობენ. ხოლო მოსკოვის პრესა ამ გახრწნის პროცესს სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას ეძახის! და ეს კი მართლა დამამტკიცებელია იმისა, რომ მტარვალნი ჩიხში გრძნობენ თავის თავს, საიდანაც გამოსავალს ვერ პოულობენ და ისევ ნაცად ზომებს მიმართავენ, რათა ამოსწყვიტონ, ვინც კიდევ დარჩა მოწმედ მათი უფსკრულისკენ დაქანებისა.

უაღრესად საყურადღებოა და დამახასიათებელი, რომ სტალინი ბერიას იწვევს ამ კრიტიკულ მომენტში ეჟოვის ადგილზე,—მაშ მან უკეთესი ვერავინ იშოვა თავის სახსნელად! ნუ იტყვით, რომ მას ეხლა ადარდებს რეჟიმი, სოციალიზმი ან კომუნიზმი, ყველა ეს წყალს წაუღია, ოღონდ თავი გადაირჩინოს ცოცხალი! ნურც ის გაგიკვირდებათ, რომ მან გაპარვაც კი მოინდომოს, როგორც კიდეც გავარდა ერთხელ ხმა! ასე თუ ისე, ერთი უდავოა: სტალინის დიქტატურა დიდ ხიფათშია, მოელის სრული გაცამტვერება ამ მოკლე ხანში. საიდან? შიგნიდან თუ გარედან? ორივე მხრიდან, ჩვენის ფიქრით.

მაგრამ უფრო აშკარაა და ცხადი დღესდღეობით ხიფათი გარედან. მიუნხენის შეთანხმება და დეკლარაციები, რომელიც მას მოჰყვა ჰიტლერსა და ჩემბერლენს, რიბენტროპსა და ბონეს შორის, ცხად ჰყოფს, რომ დიდი გერმანიის ექსპანსიას გზა ეხსნება აღმოსავლეთისაკენ. პოლონეთ-უნგრეთის საზღვრების გაერთიანების მისწრაფებას წინ გადაელობა ბერლინი და მით აჩვენა ყველას, რომ მას სურს, ღიად

დასტოვოს ქვედა კარპატის კარები რუმინიისა და საბჭოთა უკრაინისაკენ. ახლად შეკვეცილი ჩეხოსლოვაკიის ფედერაცია სავსებით გერმანიის გავლენის ზონაში შედის და იქ განზრახული და დიდ ნაწილად გაყვანილი ავტოსტრადები, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ, უკვე გვიჩვენებს სამხედრო ძალთა წინსვლის მიმართულებასაც.

და ამ დროს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი კვანძი ინასკვება ქვედა კარპატის პატარა რესპუბლიკაში, რომელიც მოწოდებულია უკრაინის პიემონტად იქცეს. მაგრამ, ვინაიდან გეოგრაფიულად ის ებჯინება გალიციასა და ბუკოვინას, დიდ საგონებელში აგდებს ამ ორ პროვინციის მფლობელთ, პოლონეთსა და რუმინიას. გაზეთებმა უკვე გვამცნეს მოსკოვში გამოქვეყნებული პოლონეთ-რუსეთის განცხადება, რომ ეს ორი სახელმწიფო მოწადინებულნი არიან, ერთგულნი დარჩენ მათ მიერ დადებული თავდაუსხმელობის პაქტისა და ეცდებიან, გააძლიერონ აღებ-მიცემობა ურთიერთ შორის, აგრეთვე თავიდან აიცდინონ საზღვრების ინციდენტები. ეს განცხადება დასავლეთში ისე გაიგეს, ვითომც ვარშავა მოსკოვს უახლოვდება ბერლინის წინაამდეგ! საჭირო გახდა ვარშავის სპეციალური განცხადება, რომ მან მხოლოდ აღადგინა ნორმალური დამოკიდებულება მოსკოვთან, რომელიც რამდენამდე გაფუჭდა ჩეხო-სლოვაკიის კრიზის დროსა.

ჩვენც გვგონია, რომ მოსკოვის განცხადებას არაფერი შეუცვლია არსებითად და პოლონეთის ტრადიციული პოლიტიკა მჭიდრო კავშირისა დასავლეთთან ძალაში დარჩება. მით უფრო, რომ ეხლა უკვე არავის სწამს საბჭოთა რეჟიმის სტაბილობა და აქედან მისი დადებითი როლი საერთაშორისო წონასწორობისათვის. პირიქით, ეს როლი დღეს ეკისრება პოლონეთს, რამდენადაც ის შედის დასავლეთის კონცერტში, და ამიტომ მისი შეთანხმებული მოქმედება გერმანიასთან აღმოსავლეთით ორთავეს სწორად გაგებულ ინტერესებიდან გამომდინარეობს.

მართლაც, უკრაინის კითხვა მხოლოდ საბჭოთა ფარგლებში შეიძლება დაისვას დღეს მთელის თავის სიგრძე-სიგანით. თანახმად ერთა თვითგამორკვევის პრინციპისა, რომელიც ქვეყნის სრულს დამოუკიდებლობაში ჰპოვებს თავის განხორციელებას. თავისუფალი უკრაინა თვითონვე იქნება ყელამდე დაინტერესებული, რომ მეგობრულად იცხოვროს პოლონეთთან, რადგან ხიფათი ველიკოროსიის მხრიდან დიდ და მუდმივ მზრუნველობას მოითხოვდეს იქნება მისგან. რაც შეეხება გერმანიას, მისი საფაბრიკო ნაწარმოებნი ფართე ბაზარს იპოვიან უკრაინაში, საიდანაც ისინი გაიტანენ სასოფლო ნაწარმოებთ, სამაგიეროდ. დღეს ხომ ჩაკეტილია უკრაინა ორივე სახელმწიფოსთვის და საბჭოთა ბორკილების დამსხვრევის მეორე დღეს გარდაუვალი იქნება მათთან თანამშრომლობა ახალი სახელმწიფოს ყოველ მხრივ მოსაწყობად და განსამტკიცებლად.

მაგრამ უკრაინის განთავისუფლება უთუოდ გამოიწვევს საბჭოთა კავშირის დარღვევას, მაშასადამე, ჩაგრულ ერთა განთავისუფლებასაც. ჩვენ არ ვკითხაობთ, როგორ მოხდება ეს, მაგრამ ერთი კი ცხადია: «ავადმყოფი კაცი» თავის დასასრულს უახლოვდება და, ცხადია, მის მემკვიდრეობაზე სხვებსაც უჭირავთ თვალი. სამთა ღერძის პლატფორმა—ანტიკომინტერნი ამის მჭერმეტყველი მაჩვენებელია.

ამრიგად, 1939 წელი, იმედია, საბედისწერო გახდება მოსკოვისთვის და საბედნიერო ჩაგრულ ერთათვის, თუ უკანასკნელნი თავის ისტორიულ სიმაღლეზედ იდგომებიან. დენიკინის ხმაჩახლეჩილი გოდება ამ დღეებში პარიზის ერთ დარბაზში იმის გამო, რომ დასავლეთმა ხელი შეუშვა, ღვთის ანაბარად დასტოვა «ერთი და განუყოფელი რუსეთი» და თვით თეთრი რუსებიც სამთა ღერძისგან გამოელიან ხსნასო, ფრიად დამახასიათებელია. რუსის ხალხმა თავისი ძალით ვერ შესძლო გულშემზარავი რეჟიმის დამსხვრევა. დასავლეთმაც უშველა მას ერთხელ და ბებერი გენერალი ხომ მისი დაქირავებული იყო. მისი «საგმირო საქმეებიც» კარგად ვიცით კავკასიელებმა!

მაგრამ დენიკინის მაგალითი საგულისხმიერო გაკვეთილია ჩვენთვისაც. გარედან დახმარება მხოლოდ მაშინ გამოიღებს სათანადო ნაყოფს, თუ შიგნით მაგრად ვიქნებით. ამიტომ ჩვენ ჩვენსავე თავს უნდა დავეყრდნოთ, უწინარეს ყოვლისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ქართველი ერი, ბრძოლებში გამობრძმედილი, მთლიანი და გაუტეხელი, მომზადებული დახვდება მოწოლილ ისტორიულ ამბებს.

ვართ თუ არა ჩვენ მომზადებულნი, უცხოეთში გადმოხვეწილნი? ამას ვერ ვიტყვით, საუბედუროდ, თუმცა ბევრია ნიშნები გამრთელებისა, ერთ ეროვნულ ბანაკში დარაზმვისა. მაშ ნუ დავიყოვნებთ, ერთ წუთსაც ნუ დავკარგავთ, შევვერდეთ, შევკავშირდეთ და მოვიხადოთ სამღვთო ვალი წამებულ სამშობლოს წინაშე! სამარცხვინოა, მიუტევებელი, დამღუპველი ერთი ალთას, მეორე ბალთას გაიძახოდეს ამ საბედისწერო დროს.

არა, ქართველი არ უმტყუნებს თავის სასიქადულო წარსულს, ის მოიხდის თავის ვალს და კიდევ 1939 წლის პირველ დღეებში განახორციელებს უაღრესად საპასუხისმგებლო ვითარებით ნაკარნახევ მთლიანობას.

## ევროპა დიდი ომის შემდეგ

### I.

ოცი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც დიდი ომი ჩასამარდა და მის ნანგრევებზე დიდ სახელმწიფოებმა მშვიდობიანობის განსამტკიცებლად სამშვიდობო აქტების საფუძვლების ჩაყრა დაიწყეს.

პირველი სამშვიდობო აქტი ვერსალის ხელშეკრულებაში გამოიხატა, რომელიც უკანასკნელ წლებამდე ურყევ და უდიდეს საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემად იყო აღსარებული. ვისაც პასუხისმიღება სურდა მთავარ საერთაშორისო საკითხებზე, ამ დოკუმენტში უნდა ჩაეხედნა და პასუხს იქ ამოიკითხავდა. მართალია, ამ ხელშეკრულების მთავარი სულის ჩამდგმელი—ჟორჟ კლემანსო—საკმაო სკეპტიკურად უყურებდა ამ ქმნილებას. როცა დიდი ომის თამთავრების შემდეგ, ერთმა ახალგაზდა ოფიცერმა, რომელიც ომის სურვილით მეტად იყო გატაცებული, შესჩივლა «ვეფხვს»: თქვენ ისეთი ხელშეკრულება დადევით, რომ მომავალში არავითარი ომის იმედი არ არსებობსო,—კლემანსომ ჩაიღიმა და უპასუხა: ვერსალის ხელშეკრულებაში ბევრი ისეთი მუხლია მოთავსებული, რომელთა ცხოვრებაში გატარება, ღანამდვილებით შეიძლება ითქვას, ახალ ომს მოგვიმზადებსო.

სწორედ იმ დროს, როცა ვერსალის ხელშეკრულების პროექტი მუშავდებოდა, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტ ვილსონს მშვიდობიანობის დასაცავად მეორე უებარი პროექტი ჰქონდა დამზადებული და ვერსალის მაღალ კრებულისთვის წარდგენილი. ეს იყო ერთა ლიგის პროექტი, კოვენანტის ფორმით. ამ პროექტის თანახმად, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები, თავის თავს ვალდებულად სთვლიდა, თუ არა მთელს დედამიწის ზურგზე, ევროპაში მაინც მშვიდობიანობა დაეცვა.

პროექტს აღტაცებით შეეგება ვერსალის კრებულის დიდი უმრავლესობა და რადგან მშვიდობიანობის ჩემპიონად თვით კაცობრიობის უდიდესი დემოკრატია გამოდიოდა, ვერსალის ხელშეკრულების პროექტს, ზოგიერთი გერმანიის თავმოყვარეობის დამამცირებელი მუხლები ჩამოსჭრეს და რომ მშვიდობიანობის დაცვის საკითხს მეტი სიძლიერე და ღირებულება ჰქონოდა, ერთა ლიგის პაქტი ვერსალის ხელშეკრულებას მჭიდროდ დაუკავშირეს, ორივე დოკუმენტი ერთმანეთს გადააბეს, პირველი მეორეს დამატებად გახადეს და ორივე მაღალმა კრებულმა დიდი ტაშის ცემით და არა ნაკლები ზეიმით მიიღო.

ხოლო როცა ღეობა დამთავრდა და დიდ ომში გამარჯვებულ საფრანგეთ-ინგლისის მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლები, თავიანთ ქვეყნებში მშვიდობიანობის საქადაგებლად დაბრუნდენ, გამოირკვა ერთი ამბავი, აღმოჩნდა, რომ ყოფილ კონსტიტუციის პროფესორს, პრეზიდენტ ვილსონს ან კარგად არ ჰქონია გაზეპირებული, ან შესაძლოა დიდი შრომით დატვირთულს, დავიწყებული ჰქონია თავისი ქვეყნის კონსტიტუცია, რომლის ძალით ისეთი დიდი თამასუქის გაცემა, რომელიც პრეზიდენტმა ინება, შესძლებია მხოლოდ შეერთებულ შტატების კონგრესს. კონგრესი კი წინააღუდგა თავის პრეზიდენტს, მის მიერ გაცემული თამასუქი უარყოფილად ჩასთვალა, ერთა ლიგის დაარსებაზე და იქ მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა და მშვიდობიანობის დაცვის საკითხში უდიდესმა დემოკრატიამ ხელი დაიბანა.

ამრიგად, დიდ ომში გამარჯვებულთა ბანაკს, ყველაზე გავლენიანი წევრი მოსწყდა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საკითხი იმ ევროპამ იკისრა, რომელმაც დიდი ომის პირველი ყუმბარა თვით გადააგდო.

რასაკვირველია, ნაწყენ და შეურაცხყოფილ ევროპას, ის რაც ვილსონმა დამძიმებული პორთფელით ჩამოიტანა, შეეძლო უკან დაებრუნებინა ან ნაგლეჯ ქაღალდად ექცია, ერთა ლიგის დაარსებაზე უარი ეთქვა, ვერსალის ხელშეკრულებით დაკმაყოფილებულიყო და იქ მოქცეული მუხლების განაღდებას შესდგომოდა.

ევროპა ასე როდი მოიქცა. ერთა ლიგის პაქტი ისე მჭიდროთ იყო გადასკვნილი ვერსალის ხელშეკრულობასთან, ამ პაქტში ზოგ გამარჯვებულ სახელმწიფოსთვის იმდენი ხელსაყრელი მარგალიტი იყო ჩაქსოვილი, რომ ერთა ლიგის დაარსება და მისი ხელმძღვანელობა საერთაშორისო საკითხებში დიდი ბრიტანეთის და საფრანგეთის გამოქნილმა დიპლომატებმა იკისრეს. უნდა აღინიშნოს, რომ თუ ამერიკის შეერთებული შტატები განზე გადგა და და ერთა ლიგას არ წაეკარა, თვით გამარჯვებულ ევროპიელთა შორის, ყოველივე წეს რიგზე თავიდანვე როდი ეწყობოდა. ცუდი ენები სისინებდნენ, თითქო ვერსალის ხელშეკრულებით საფრანგეთი ევროპის ჰეგემონი ხდებოდა, ისე როგორც ეს ბონაპარტის ხანებში იყო, და ამით შეშინებული ინგლისი, საფრანგეთისთვის ოდნავ მაინც რომ ფრთები შეეკვეცა, გერმანიის დასუსტებას იმდენად როდი უწყობდა ხელს, როგორც ეს კლემანსოს ჰქონდა გადაწყვეტილი. ამასთან დაკავშირებით იხსენებდნენ დიდ ბრიტანეთის განთქმულ ტრადიციას, რომლის თანახმად, ევროპაში განსაზღვრულ წონასწორობის შესანახად, ინგლისი ეხმარებოდა მას, ვინც მარცხდებოდა, დამარცხებულს გვერდში ამოუდგებოდა და გამარჯვებულის წინაამდეგ ამოქმედდებოდა. წონასწორობა—დაკარგული ევროპა, წონასწორობაში მოჰყავდა და ამრიგად დიდი ბრიტანეთი ევროპას თითქმის მუდამ სათავეში ექცეოდა და «მიუდგომელ არბიტრის» სახელს იხვეჭდა.

ზოგი გამარჯვებული სახელმწიფო იმის უკმაყოფილოც იყო, რომ ინგლისს ერთა ლიგაში, ერთი ხმის მაგიერ ექვსი ხმა მიენიჭა და ეს იმ მოსაზრებით, რომ დიდი ბრიტანეთის მოთხოვნით ყველა დომინიონი გადამსყვეტი ხმით იქმნენ ერთა ლიგაში არჩეულნი. ეს მდგომარეობა ისედაც ძლიერ და გავლენიან ინგლისს კიდევ უფრო აძლიერებდა და ხში-

რად ერთა ლიგაში მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრის დროს, როცა საფრანგეთი და ინგლისი შეთანხმებულად არ გამოდიოდნენ, ინგლისის როლი გაცილებით დიდი იყო, ვინემ საფრანგეთისა, და გამარჯვებული რჩებოდა.

თუ ასეთი და ბევრი მსგავსი ყრუ უკმაყოფილება არსებობდა ზოგ გამარჯვებულ სახელმწიფოს წრეებში, გუშინდელ მოკავშირის თუ მოკავშირეთა მიმართ, რა გასაკვირია, თუ დროგამოშვებით უკმაყოფილების სააშკარაოზე გამოტანა ხდებოდა იმ სახელმწიფოთა მიერ, რომელნიც დამარცხდნენ და ვერსალის ხელშეკრულობის თუ ერთა ლიგის კლანჭებში მაგრად მოექცნენ.

მიუხედავად ყრუ უკმაყოფილებათა, ერთა ლიგა ვერსალის ხელშეკრულობა წელთა განმავლობაში გახდა უდიდეს საერთაშორისო მოვლენად. ერთა ლიგის ირგვლივ თითქმის მთელი კაცობრიობა დაეწყო. ცხადი იყო, რომ კაცობრიობა ისე მოშალა და მოქანცა უმაგალითო ოთხი წლის სისხლის ღვრამ, რომ თვით დამარცხებული სახელმწიფონიც მზად იყვნენ, ბევრი რამ აეტანათ, ოღონდ რაც მოხდა, მისი განმეორება ახლო მომავალში მაინც არ მომხდარიყო.

ერთა ლიგის გაძლიერებას ისიც უწყობდა ხელს, რომ ამ უზენაეს საერთაშორისო დაწესებულებას, სახელმწიფოთა დიდ უმრავლესობაში საზოგადოებრივი აზრი მას გვერდში ამოუდგა, მისი თავგამოდებული დამცველი შეიქმნა, განსაზღვრულ ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციებში ჩამოყალიბდა, რომელნიც ერთმანეთს გადაეჯაჭვნენ, საერთაშორისო კავშირთა სახე მიიღეს, დიდი ღირებულების საერთაშორისო მორალურ ძალად გახდნენ და ზავის განმტკიცებას ხელს უწყობდნენ.

როდი ითქმის, რომ ერთა ლიგა თავიდანვე მთლიანი უნივერსალური დაწესებულება ყოფილიყოს. ცდა კი დიდი იყო, მისთვის უნივერსალური ხასიათი მიეცათ. როგორც ვნახეთ, ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებმა თვით არ ინებეს ერთა ლიგაში შესვლა, თუმცა ვინ არ ემუდარა. იყვნენ სხვა ერებიც, რასაკვირველია არა ისეთი დიდი ტანისა, როგორც ამერიკის შტატები, მაგ. საქართველო და სხ., რომელნიც ცნობილი იყვნენ დიდი სახელმწიფოების მიერ და რომელთაც ყველა კონსტიტუციური გარანტიები გააჩნდათ, ერთა ლიგის წევრნი გამხდარიყვნენ. საქართველოს და ზოგ სხვა სახელმწიფოებს ცოტა სურვილი როდი ჰქონდათ მაღალ საერთაშორისო დაწესებულების წევრად გახდომისა, ხოლო ესენი არვინ მიიპატიჟა.

ი. სალაყაია.

---

## ჟ. მარტენის და ა. მალშის სიტყვები

სიტყვა წარმოთქმული (იხ. წინა №)

### 1. ჟ. მარტენის სიტყვა

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, როდესაც სუფრაზე ვსხდებოდით, გავიგონე. ბ. მალშმა ბ. შავიშვილს უთხრა: ამდენი წელი შვეიცარიაში ცხოვრობთ და უნდა გაშვეიცარიელებულიყავით, თქვენ კი ისევ ქართველი დარჩითო! ამ რამდენიმე წამის წინ შავიშვილმა გითხრათ, ვითარცა შვეიცარიის ცხოვრების წესებს შეჩვეულმა: «მე დიდი დისციპლინის ადამიანი ვარო!» ჰაი, ჰაი! მე ვფიქრობ, რომ მასში ქართველო რევოლუციონერის და მებრძოლის სული კვლავ მეტად ცხოველია!

ყოველ შემთხვევაში (ცხადია, ეს ყველამ უწყით) ხარიტონმა, მიუხედავად გარეგნული სირბილისა მთელი თავის ცხოვრების მანძილზე გვიჩვენა, რომ ისაა ადამიანი გაბედული და მტკიცე და ურყევად ასრულებდა უმძიმეს საპასუხისგებლო დავალებებს, როცა ეს ეხებოდა მისი ქვეყნის ბედს. იყო ეს ქუთაისის საპყრობილეში, თუ მატარებელში, რომელსაც ციმბირისკენ მიჰყავდა ქართველი მებრძოლნი, თუ ველების სიგრძეზე, რომლებიც გადმოიარა გამოქცეულმა შავიშვილმა, რომ ევროპაში მიეღწია,—მან გამოიჩინა დამოუკიდებელი ხასიათი და ვიტყოდი მეტს, მოუდრეკავი (უდისციპლინო) ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე.

მაგრამ არის ერთი შემთხვევა, როცა ხარიტონმა გამოიჩინა დისციპლინა, თავისთავად მეტად მომხიბლავი. ეს იყო 1920 წ. ივლისის დასაწყისში, ბერნში. მისი სამშობლო ისიც იყო, განთავისუფლდა. საქართველოს მთავრობისაგან თავაზიანად მიწვეული მე ვემზადებოდი კავკასიაში წასასვლელად. ხარიტონის ოცნება იყო, წამომყოლოდა—დამოუკიდებელი სამშობლოს ნახვა მისი ცხოვრების უდიდესი სიამოვნება იყო. ხოლო ეს ბედნიერება არ ეღირსეს. საქართველოს მთავრობას სჭიროდა მისი ყოფნა ბერნსა და ჟენევაში და მოქალაქობრივმა მოვალეობამ მას უკარნახა დამორჩილება. სათუთი მზრუნველობით, როგორც ეს მისი წესია საერთოდ, მან მოაწყო ჩემი გამგზავრება და დამავალა, საბშობლოსათვის გადამეცა მისი სიყვარულის გრძნობები.

არის საჭირო გელაპარაკოთ ამ მოგზაურობაზე, რომელმაც ერთიან განმაახლა და მომიტანა გაცდები ერთსა და იმავე დროს ცხოველი და ღრმა საქართველოს ლამაზი ბუნების, მისი ერის ესოდენ სტუმართმოყვარის, თქვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოს და მომავალის?

მოგონებანი ერთიმეორეს მოსდევენ ჩემს მეხსიერებაში: ბათომში ჩამოსვლა გემიდან, საბაჟოში, სადაც ქართველმა მოხელეებმა ისიც იყო დაიწყეს ბეჯითად მუშაობა, ინგლისელების წასვლის შემდეგ. ბათომში მე გავიცანი დიდი ორგანიზატორი, გავლენიანი ადამიანი ჩხიკვიშვილი,—ჩხიკვიშვილი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ბაკურიანში, მცირე კავკასიონის ფიჭვნარში მე შევხვდი თქვენი მიწათმოქმედების მინისტრს ხომერიკს,—ხომერიკი ბოლშევიკებმა დახვრიტეს.

ტფილისში მე დავაფასე მომხიბლავი თავაზია-

ნობა დათიკო შარაშიძისა, რომელიც ჩემი გამძღოლი იყო მთელი მოგზაურობის დროს. შარაშიძე ცოცხალი აღარაა.

დარიალში მე ვინახულე ბოლშევიკების სასაზღვრო პოსტი. მე დავინახე ამ ველურ ხევში მფრინავი დიდი რუსული არწივი, რომელიც კლანჭების ჩასასობად ემზადებოდა საქართველოს გულში.

აბასთუმანის სურნელოვან ტყეებში დიდხანს ვესაუბრე რამიშვილს, რომლის ენერგია შიშს ჰგვრიდა მოღალატე კომუნისტებს,—რამიშვილი ბოლშევიკმა მოჰკლა. და იმავ აბასთუმანში მე მქონდა ბედნიერება დავმეგობრებოდი თქვენს პრეზიდენტს ბ. ჟორდანიას და თქვენს დიპლომატს ბ. ჩხენკელს.

უფრო გვიან (ეს იყო ვერსალში) გავიცანი თქვენი ძვირფასი საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. გეგეჭკორი, რომელიც დღეს აქ ჩვენს შორის იმყოფება.

ყველა ეს მშვენიერი მოგონება საქართველოსი, თქვენი სიწმინდის გელათის, შავი ზღვის საუცხოვო ნაპირების, თქვენი დედაქალაქის ტფილისის და ბორჯომის, ანანურის, ქუთაისის, სულ ცხოვლადაა ჩემს მეხსიერებაში.

შემდეგ მოვარდა ქარიშხალი, ჩრდილოეთის ყინულიანი ქარიშხალი ბოლშევიკური ურდოებით. და ამას შემდეგ საქართველო იტანჯება და იცდის. იტანჯება ღირსებამოსილებით. იცდის შეუდრეკელობით. 1924 წ. სცადა განთავისუფლება, და თქვენ იყავით იმათ შორის, რომელთაც ყველაფერი გასწირეთ თავისუფლების აღსადგენად.

ამ სასტიკი ბრძოლის რამდენიმე თვის შემდეგ მე მონაწილეობა მივიღე პარიზში ქართველთა კოლონიასთან ერთად დამოუკიდებლობის დღესასწაულში. იქ იყო ხომერიკის შვილი, რამიშვილთან თავშეფარებული. იქ იყო ჩვენს შორის მამულიშვილური აჯანყების მეთაური, რომლის ძარღვებში გმირის სისხლი სჩქეფდა. დილის ორ საათზე დაჟინებითი თხოვნის გამო, მიუხედავად იმისა, რომ თავს სუსტად ჰგრძნობდა გულის ავადმყოფობისაგან, მან იცეკვა თქვენი, ვნებით აღსავსე, ქართული ლეკური. და ამ მეგობარს რომ მოცეკვავეს ვხედავდი, გამახსენდა დავით მეფე, კიდობნის წინაშე რომ ცეკვავდა, როცა ფილისტიმელები დაამარცხა.

ვკითხე მაშინ მეგობრებს: «როგორ გაქვთ ხალისი, ასე მხიარულად იდღესასწაულოთ დამოუკიდებლობის წლის თავი, როცა ამას წინად ათასობით დაგეღუპათ მეგობრები?» მომიგეს ასეთი სპარტული პასუხი: «არ ვიცით, ჩვენ მოვესწრებით თუ არა საქართველოს განთავისუფლებას, მაგრამ ახალი თაობა მას ნახავს, და ამის (ახალ თაობის) მამულიშვილური შთაბეჭდილებები ნაღვლიანი არ უნდა იყოს; საქართველოს გახსენებაზე მისი თვალები სიხარულით უნდა ბრწყინავდეს».

ჩვენ თქვენი მეგობრები დავრჩით, ამისთვის მადლობას გვეუბნებით და ეს ცოტა გვარცხვენს, რადგან თქვენი მადლობა დიდია. ჩვენ გვაქვს იმდენი უპირატესობა, რაც თქვენ გაკლიათ: ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ოჯახში, თავისუფლები, ბედნიერები და ვაკეთებთ საქმეს, რომელიც თვით ავირჩიეთ. თქვენ ხართ გარდმოხვეწილნი, დაშორებულნი დატყვევებულს სამშობლოს და კერას, მუშაობთ საქმეზე, რომლისთვის არ მომზადებულხართ, და მიუხედავად მწუხარებისა, ნაღველისა, სევდისა თქვენ შეგინახავთ თქვენი სიმამაცე, ღირსება, მხიარულება. თქვენ კი არა ხართ დავალებულნი ჩვენი მეგობრობით, არამედ ჩვენ ვართ დავალებულნი იმ მაგალითისთვის, რომელსაც გვაძლევთ.

როდესაც სოშოში მოვედით, ვეძებდით თქვენს კერას, თქვენს «პატარა საქართველოს» საფრანგეთის სტუმართმოყვარე მიწაზე. ერთი ქუჩის კუთხეში წავიკითხეთ: «ქუჩა გამარჯვებისა», და ვსთქვით: «აქაა! აი აქ ცხოვრობენ ჩვენი მეგობრები ქართველები, აი აქ უთხრათ მამაც ადამიანებს: «გამარჯობა!» *)

და მე ვოცნებობ საღამოზე, როდესაც სხივოსანი მზე დაეშვება განთავისუფლებული კავკასიის თოვლზე, მაშინ მთვარის შუქზე ჩვენ ვეტყვით ერთხმად თქვენს ლამაზს თანამემამულე მანდილოსნებს: «საღამო მშვიდობისა!» *)

2. ა. მალშის სიტყვა.

მას შემდეგ, რაც ვინახულე ლევილში მცხოვრები ქართველები, ჩემთვის ახლა ფრიად სასიამოვნოა სოშოს ქართველებს შორის ყოფნა. ამ საფრანგეთის მიწას, რომელმაც თქვენ მიგიღოთ და სადაც თქვენ მეორე სამშობლოს ჰგრძნობთ, მე ვიცნობ ჩემი ბავშობიდან: თუ ეს ერი ხშირად გამოცვლილა, თუ საფრანგეთი თავის ცოცხალ და მრავალფეროვან იდეებით გარეშე დამკვირებელს სხვადასხვა სახეს უჩვენებს ხოლმე, სამაგიეროდ მას მუდამ ერთი და იგივე გული აქვს—კეთილშობილი და ადამიანური. ეს უეჭველად გამამხნევებელია და თქვენ გიადვილდებათ გარდახვეწილობის ატანა იმ ქვეყანაში, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია თქვენი გაგება. არ მავიწყდება, რომ მან მყისვე მისცა წინადადება თავშესაფარისა თქვენს მთავრობას, როგორც კი უკანასკნელი იძულებული იყო დაეტოვებია თავისი ტერიტორია. საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის სახელით, მოვალედ ვრაცხ ჩემს თავს, მადლობა მოვახსენო საფრანგეთს და ფრანგებს, რომლებიც მრავალნაირად გიცხადებენ ქართველებს თავის თანაგრძნობას. ნებას მივცემ ჩემს თავს მადლობის მეტი ნათელყოფისათვის, განვუცხადო ბ. დირექტორს გერენ დღუარდენს ჩემი გაკვირვება და სიხარული, როცა ვხედავ, თუ რა მზრუნველობით ეპყრობა იგი პეჟოს დაწესებულებაში მომუშავე ქართველებს. თქვენ ბრძანებთ, რომ ქართველები არიან ზუსტნი, კარგი მუშები, პატიოსნები. მე ეს სრულიად მჯერა: ბევრმა იცის სხვა საქმის გაკეთებაც და მათი გონებრივი ღირებულება თავდებია მათი მუშაობის ნაყოფიერებისა. მაგრამ ყველანი—იცოდეთ ეს—ამაყობენ იმით, რომ თავის შრომით, რაც უნდა მცირე იყოს იგი, ხელს უწყობენ იმ ერის წარმატებას, რომელმაც მათ თავშესაფარი მისცა, და ყველანი ჰგრძნობენ, რომ შრომა ბედნიერებაა გარდმოხვეწილისთვის.

თქვენ კი, ძვირფასო ქართველო მეგობრებო, ამ თქვენი სახლის ჭერს ქვეშ, ამ თქვენი ბიბლიოთეკის მაგიდების გარშემო, წარმოადგენთ ერთს დიდს

---

*) ეს სამი სიტყვა ნათქვამი იყო ქართულად.

ოჯახს, რაიც არის გამონაშუქი შორეული სამშობლოსი. პარიზიდან ჩამოსულმა, თქვენი მთავრობის პატივცემულმა წარმომადგენელმა გვითხრა, რომ განვლილმა თუთხმეტმა წელმა (ჟენევაც იცდიდა თუთხმეტს წელიწადს!) სრულებით ვერ გაცვითა თქვენი უფლებები და იმედები. თქვენ თავი გიკავიეთ მამაცურად, შეუდრეკელად, რაიც ოლონდაც რომ ღირსებაა თქვენი ერის და რაიც ჩვენ აღგვავსებს თქვენდამი პატივისცემით და სიყვარულით. ვინც თქვენ გაგიცნობთ, მას შეუძლია გაიგოს, თუ როგორია გამძლეობა თქვენი სამშობლოსი. თქვენ ამას ამოწმებთ. თქვენი მაგალითი გაკვეთილია ჩვენთვის და გმადლობთ, რომ ადამიანის რწმენა მოგვეცით. თქვენ, რომელთაც ყველაფერი დაჰკარგეთ, მაშინ როდესაც სხვებმა, რომელნიც ყელამდის აღვსილნი არიან, ჩვენში აღძრეს იჭვები ადამიანის მომავლისათვის.

როგორიღა იქნება ეს მომავალი თქვენთვის? ახლო თუ შორეული? არავის შეუძლია ამის წინასწარმეტყველობა. შეიძლება ჩვენი თაობა ვერ მიესალმოს კავკასიის დაბრუნებულ თავისუფლებას; შეიძლება მხოლოდ თქვენმა შვილებმა გაიხარონ ამ ბედნიერებით. ერის ცხოვრება არ განიზომება ჩვენი საკუთარი ცხოვრების საზომით. მაგრამ ერთი ცხადია: ეს განთავისუფლება მოვა და იგი არ იქნება პირველი, ვინაითგან საქართველოს უნახავს სხვა ბევრიც, და დანიშნულია დღე, რომელიც მას მოგიტანთ. ამის რწმენა კმარა თქვენთვის, რომ მისცეს აზრი თქვენს მოქმედებას, თქვენს არსებობას.

სრულია ეს იმედი, თუნდაც თქვენ მარტო გქონდეთ იგი. ხოლო მარტონი არა ხართ. შეიძლება, პირველი დღეების დახმარება გახუნდა. შეიძლება ბევრს ემჩნევა, გულცივობა კი არა. არამედ მორიდება ცარიელი სიტყვებისა, გრძნობა ქველი სურვილების უსარგებლობისა; ისინი მდუმარედ დგანან თქვენს გვერდით, არრას ამბობენ, ხოლო გადაწყვეტილი აქვთ და გამზადებულნი არიან, იმოქმედონ, როგორც კი ამის ჟამი დადგება.

როგორც ხედავთ, ჩვენ არ ვაძლევთ ჩვენს თავს ნებას, დაგაძინოთ მსუბუქი ოპტიმიზმით, რაც არ შეეგუებოდა თქვენს ეროვნულ ბუნებასაც. არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ მხოლოდ დამხმარენი თქვენი; თქვენს გვერდით, მდურენი, როდესაც თქვენ თვითონ სდუმხართ. მიუხედავად ამისა, ჩვენ ისეთი შთაბეჭდილება გვაქვს, რომ ყოფნაც მარტო ჩვენი თქვენთან არაა თქვენთვის უსარგებლო.—ასე ვფიქრობთ თქვენი მეგობრები. ჩვენ გვინდა, რომ საფრანგეთში, შვეიცარიაში, სხვა ქვეყნებში, ყველგან იყვნენ თქვენი საქმის დამცველნი, რომ გამოგიწოდონ ხელი, რომ იფხიზლონ თქვენთან ერთად.

და იცოდეს საქართველომ, რაც უნდა იძულებით დადუმებული და დევნილი იყოს იგი, რომ მის გარშემო შემოკრებილნი არიან კეთილსინდისიერი ადამიანები, ყველა ის, ვისაც სწამს კიდევ დადებული ხელშეკრულობა და ფიცი, ყველა, ვინც ჰფიქრობს, რომ კაცობრიობა მოისპობა, თუ სამართალი და სიყვარული საბოლოოდ უნდა დაემორჩილოს ძალას.

## «მომავალი»-ს პატრიოტები

ჩვენი გაზეთი გამოეხმაურა «გაზეტა პოლსკა» ში მოთავსებულ წერილს საქართველოზე. ამ გამოხმაურების ერთად ერთი მიზანი იყო უცხოელ ავტორის მიერ ნებსით თუ უნებლიედ დაშვებულ შეცდომების გასწორება. თავისთავად იგულისხმება, რომ უცხოელმა ავტორმა დაიჯერა ის ყალბი ინფორმაცია, რომელიც მას მიაწოდეს დაინტერესებულმა ქართველმა ინფორმატორებმა. როგორც ახლა გამოჩდა, ეგ დაინტერესებული ინფორმატორები ბრძანებულან გაზ. «მომავალი» ს კალმოსნები. აქედან ადვილად გასაგებია, რომ უცხოელ ავტორის შეცდომების მხილება «მომავალი» ს კალმოსნებმა თავიანთ ყალბი ნასაქმის მხილებად მიიღეს და ქუჩური ლანძღვა-გინებით გაგვიმასპინძლდენ.

ჩვენი თავის დამცირება იქნება, ავყვეთ ბ-ნ ნ. დგებუაძეს და ალ. მანველიშვილს, მათი კილოთი ავმღერდეთ და ლანძღვაზე ლანძღვით ვუპასუხოთ. ჩვენი მიზანია მხოლოდ, ერთხელ კიდევ გაუსვათ ხაზი საქმიანობას იმ პატარა წრისა, რომელსაც დიდ პატრიოტულ საქმედ მიაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად მებრძოლების ლანძღვა და უცხოელთა წრეებში ყალბი ინფორმაციის გავრცელება. რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, მხოლოდ ერთ მაგალითზე შევჩერდებით. ამას წინედ იტალიურ ენაზე გამოვიდა ერთი მჭლე ფურცელი—«Notiziario orientale», რომელშიაც მოთავსებულია «მომავალის» ჯგუფის წევრის სეხნიაშვილის პატარა წერილიც. ამ უკანასკნელის მოკლედ გადმოცემული შინაარსი ასეთია:

საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართველები ხშირად ახდენდენ აჯანყებებს. ბოლშევიკებმა სასტიკი ზომებით ჩააქვრეს 1924 წლის აჯანყება; მრავალი დახვრიტეს და მრავალი გადაასახლეს; ლიკვიდაცია უყვეს ყველა პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებს. ამ გარემოებით აღშფოთებულმა ახალგაზდობამ იწყო მზადება სამშობლოს განსათავისუფლებლად. 1925 წელში ყველა პროვინციებში ირაზმება ახალგაზდობა. შემდეგ ამ ახალგაზდობის წარმომადგენელნი გადმოდიან უცხოეთში და აქ აარსებენ «თეთრი გიორგის» დარაზმულობას, რომლის დროშის ქვეშ თავს იყრის უცხოეთში მყოფ ქართველი ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა. საქართველოში «თეთრი გიორგის» ორგანიზაციები მოქმედებენ საიდუმლოდ, უცხოეთში კი მართავენ მიტინგებს, კონფერენციებს და ლაპარაკობენ იმათი სახელით, ვინც იქ, სამშობლოში, ბორკილებში არი-

ან ჩაჭედილნი. საქართველოში ამ თეთრ-გიორგულ მოძრაობას საზოგადოება, ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი, რომელიც დატყვილებული არ არის ყალბი სოციალდემოკრატიულ იდეოლოგიით, დიდი სიმპატიით შეხვდა. როდესაც გადამწყვეტი საათი ჩამოკრავს, მთელი ქართველი ერი შემოიკრიბება «თეთრი გიორგის» დროშის ქვეშ, რომელიც გამოხატავს გაწამებულ ქართველ ერის სასიცოცხლო ინტერესებს და სხვა.

ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო იტალიურ ენაზე ამისი დაწერა? ყველამ იცის, რომ აქ მართალი არაფერია; საზოგადოთ ტყუილს მოკლე ფეხები აქვს; ასეთ ტყუილს უცხოელიც ადვილად მიგიხვდება, თუ კი მას მართლაც აინტერესებს ჩვენი საკითხი. 24 წლის აჯანყება საოკუპაციო ხელისუფლებამ სისხლში ჩაახრჩო, მაგრამ მებრძოლი ორგანიზაციების სრული ლიკვიდაცია მაინც ვერ შესძლო. საქართველოში საოკუპაციო ხელისუფლების წინაამდეგ იბრძვის არა მარტო ახალგაზდობა, არამედ მთელი ერი.—დიდი და პატარა, ქალი და კაცი. მებრძოლი ძალები იქ არ არიან დაყოფილი ძველ და ახალ თაობებად. გადაჭრით და კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ თეთრ-გიორგული ორგანიზაციიბი არც არსებულან და არც არსებობენ საქართველოში.

ყველამ ვიცით აგრედვე. რომ უცხოეთში მყოფ ქართველ ახალგაზდობის დიდი უმრავლესობა კი არ იკრიბება აქ წარმოშობილ «თეთრ გიორგის» დროშის ქვეშ, არამედ უმნიშვნელო უმცირესობა,— სულ ორი-სამიოდე ათეული; ეს პატარა უმცირესობაც რამდენიმე ჯგუფად არის დაყოფილი და ერთი მეორეს თავზე ლაფს ასხამენ. ამ სასახელო მოღვაწეობით განსაკუთრებით თავი ისახელა «მომავალის» ჯგუფმა.

ჩვენ არას ვიტყვით ბ-ნ «დე დგებუაძის» ფრანგულად დაბეჭდილ წერილზე. იგი სავსებით ახასიათებს მის ავტორს,—«კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოდინდების».

ბ ნი მანველიშვილი კი ერთ ცნობილ დედაკაცივით თვითონ იშოლტავს თავის თავს. იგი ჯერ ილანძღება, ყველას უდიერად იხსენიებს და შემდეგ დაასკვნის, რომ «მათი უდიერად მოხსენება ხან ალელვებით ხან თავშეუკავებლობით, გამოწვეულია მხოლოდ ერთი სურვილით: შესწავლა და დაფასება წარსულის და აწმყოსი, მომავლის შექმნისა და გამოჭედისათვის». ცოტა ქვევით განაგრძობს: «... ჩვენთვის არაფერ ბედნიერებას წარმოადგენს ჩვენი უფროსი თაობის უადგილოდ ლანძღვა და დამცირებაო»; მიუხედავად ამისა იგი მაინც ილანძღება და თვითონვე აღიარებს ამ «ლანძღვის და დამცირების» უადგილობას. ამ სტრიქონებს კომენტარიები არ ესაჭიროება.

ყოველივე ამის შემდეგ განსაცვიფრებელი ის არის, რომ ბ. მანველიშვილი პროექტსაც კი თხზავს იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება «ქართველი ემიგრაციის ხელმძღვანელი პოლიტიკური ნაწილის ერთ ხელმძღვანელ ორგანოს ქვეშ თავმოყრა და შეთანხმებული მოქმედება».

მოდი და ამის შემდეგ ეჭვი ნუ შეგეპარება დგებუაძე-მანველიშვილების არა მარტო რიგიანობაში, არამედ მათ სერიოზულობაშიაც.

## პოლონეთი ოცი წლის თავზე

(წერილი პოლონეთიდან)

განთავისუფლების ოცი წლის თავზე პოლონეთმა ამაყად გამოაფინა თვისი ბალანსი. ბალანსი არის მეტად საინტერესო. გაჰქრა პასივი. ინგრევა ძველი —შენდება ახალი. ევოლიუცია—უცნაურ ტემპით აღნიშნული. წაიშალა მეკუთხეობა. ისპობა ავსტრო-რუსეთ-გერმანიის და ჩეხიის გავლენები. პოლონეთი მოწყდა ძველ დროს და შეჰქმნა ახალი პოლონეთი— ახალი სულით. მოკვდა ძველი ერარქიული «შლახტა». ამ ახალ ერაში იქსოვება ოქროს ძაფებით პოლონეთის ახალი ხავერდის რუკა. ნაციონალურ შეგნებამ შეჯაჭვა პოლიტიკური ჯგუფები, ინტელიგენცია, გლეხი თუ მუშა. დამოუკიდებლობის პირველ წლებში პოლონეთის ეკონომისტები გაფაციცებით ეძებდენ მილიონებს სასესხებლად უცხოეთში. დღეს პოლონეთის წარმომადგენლები აღარ დაძრწიან საზღვარ გარედ, ვინაიდან თვით ხალხმა მიართვა მთავრობას მილიარდები, რამაც გაამტკიცა ვალუტა, გააშენა ქალაქები, ქარხნები, გზები...

ოცი წლის უკან პოლონეთი იყო დაჭრილი—მისი სხეულის ნაწილებს ეპატრონებოდა რუსეთი, ავსტრია, გერმანია. რუსეთი აწარმოებდა გამარუსებელ პოლიტიკას, ავსტრია ქსაქსავდა, არღვევდა და აძინებდა პოლონეთის გრძნობებს ცნობილ დევიზით: «დაყავ და იმეფე». რუსეთი მკაცრი ზომებით. ციმბირით ანადგურებდა პოლონეთის ფეხზე დადგომის ყოველგვარ განზრახვას. ფრანც იოსები უფრო რბილად და მოქნილად იქცევოდა, მაგრამ მის პოლიტიკას მეტი ნაყოფი მოჰქონდა.

ჯერ კიდევ დიდ ომამდე იოსებ პილსუდსკი, რომელიც წარმოადგენდა მაშინდელ პოლონეთის ჯანყს უსამართლოების წინაამდეგ, როგორც მეტეორი დაეცემოდა დამპყრობელთ: კალმით თუ საქმით. პილსუდსკი—პოლონეთში, პილსუდსკი—რუსეთში, პილსუდსკი—ევროპაში თუ აზიაში—წარმოადგენდა თავის ერის მშფოთავ და მოუსვენარ სულს. აღვიძებდა ყველას, იცავდა ყოველივეს, რაც იყო პოლონური. აღძრავდა თუ არა, სადაც კი შესაძლებელი იყო,

პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხს, პილსუდსკი იყო ერთგვარი «ამბასადორი» პოლონეთის თავისუფლების სულისა.

ოცი წლის წინად პოლონეთმა დაიბრუნა თვის საკუთრება. როგორც ერთი ადამიანი ისე აღსდგა მთელი ერი. მაგრად, მტკიცედ ჩასჭიდა ხელი თავისუფლების დროშას და ამაყად გამოაცხადა საქვეყნოდ თვისი დამოუკიდებლობის აღდგენა. პოლონეთი ფეხზე წამოდგა, მაგრამ მის ჯანს აჩნდა ღრმა ჭრილობები. სუსტად ცემდა მისი მაჯა. დანგრეულ და დაშლილ იყო ყოველივე, რაც იყო პოლონური. მხოლოდ ერთი რამ იყო შეუბღალავი: ეროვნული შეგნება, რომელიც რაღაც სასწაულ ძალით განსახიერდა ერთ დიდ პიროვნებაში.

ოცი წლის დაუღალავ მუშაობამ არაჩვეულებრივი ნაყოფი გამოიღო. საერთოდ და კერძოდ მეურნეობაში ქაოსი არსებობდა. გლეხები, მუშები მეტ მძიმე პირობებში იმყოფებოდენ. ერთი კოლოფი ასანთი ათასეულ მარკებს უდრიდა. ფული გაიეფდა, ცხოვრება გაძვირდა.

სასწრაფოდ მოწვეულ იქმნა სეიმი, სენატი. შემუშავდა კონსტიტუცია და რეფორმები, რამაც ახალი კალაპოტი გაუჩინა მჩქეფარე პოლონეთის არსებობას. მთავარი ყურადღება მიქცეულ იქმნა მეურნეობაზე. მოისპო მიწის სპეკულაცია. მიწა დღეს ეკუთვნის მას, ვისაც აქვს კეთილი სურვილი მისი მოვლისა. დიდი მამულები დავალიანებული და დასუსტებული დღეს ჰქრება. დაწესდა ნორმა მიწისა. არავის აქვს უფლება 300 ჰექტარზე მეტის ფლობელობისა. ზოგიერთათვის ეს ნორმა შეზღუდული არის 180 ჰექტარით. ზედმეტი მიწები გამოსყიდული სახელმწიფოსგან ურიგდება მათ, ვისაც მიწა სრულებით არ აქვს ან აქვს ძლიერ მცირე. შეიქმნა მბრუნავი კაპიტალი, რომლის დანიშნულებაა წვრილი გლეხობის დახმარება. სესხი ისე რაციონალურად არის გაცემული, რომ გამრჯელ გლეხისთვის არ წარმოადგენს დიდ ტვირთს.

პოლონეთის გლეხის დიდი უბედურებაა, რომ მისი მამული მეტად დაქუცმაცებულია, რამდენიმე წვრილ ნაჭერისაგან შესდგება და გაფანტულია ერთი მეორის დაშორებულ ადგილებზე. ახალმა პოლონეთმა ზომები მიიღო ამის მოსასპობად და დღეს გლეხები იღებენ მიწას მთლიან ნაჭრად თავის ბინის მახლობლად.

პოლონელი გლეხი ბეჯითი მუშაა. როგორც მუშა სახელგანთქმული არის ყველგან, საფრანგეთში, თუ ბელგიაში. გერმანიაც ხშირად სცდილობს აქაურ მუშების დაქირავებას.

რუსეთის უხეში პოლიტიკის წყალობით გლეხის მდგომარეობა იყო მძიმე. პოლონელი გლეხობა ვარდებოდა ნელინელ რუსის «მუჟიკის» მდგომარეობაში. პოლონელ გლეხს არც კი ჰქონდა ნდობა რუსეთის აგრანომებისა, რომელთა რიცხვი ძლიერ მცირე იყო პოლონეთში. გლეხობას წარმოდგენაც არ ჰქონდათ რაციონალურ მუშაობაზე. დღეს სულ სხვანაირად აზროვნებს გლეხი. მან იცის, რომ რაც კეთდება, არის პოლონური. კონსტიტუცია იცავს მის უფლებებს. სამაზრო მიწათ-მოქმედების ინსტიტუციები მათთვისაა შექმნილი. დაქირავებული აგრონომები არიან მათი მოსამსახურენი.

ჩნდება კოოპერატივები, წრეები რომელთა მიზანია გლეხთა შეკავშირება, მათი მიწის პროდუქტების სარგებლიანად გაყიდვა. სოფელი იცვლის სახეს. ირგვება ხეხილი. არის ცდა ვენახის გაშენების, იყენებენ ამისათვის ისეთ ადგილებს, როგორიც არის ზალეშჩიკი. მართალია ჯერ კიდევ ვერ შეჰქმნეს საჭირო ჯურის ვენახი, მაგრამ ეს მომავლის საკითხია.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული აღმშენებლობას. ესტეტურ და ჰიგიენურ მხარეს უთუოდ იცავენ. არამც თუ პოლონეთში, არამედ მთელი დედამიწის ზურგზე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს სოფელ ლისკოვის გაშენება—სადაც ყოველივე ისე რაციონალურად არის აგებული და მოწყობილი, რომ პოლონეთის ყოველი კუთხიდან უამრავი ადამიანი მოდის მის სანახავად და შესასწავლად. ამ რამდენიმე წლის წინად თვით ჩინეთიდან სპეციალურად ჩამოვიდა გამოჩენილი პროფესორი სოფელ ლისკოვის გასაცნობად.

ბევრი, ბევრი რამ გაკეთდა ამ ოცი წლის განმავლობაში. ბევრი, ბევრი რამ კიდევ არის გასაკეთებელი.

ვარშავა გაკეკლუცდა. ეჯიბრება პარიზს, ბერლინს და სხვა დიდს ქალაქებს.

პოლონეთის დიდი ოცნება შესრულდა. აქვთ ზღვა. ელვის სისწრაფით უნაყოფო ქვიშაზე გაშენდა ნავთსადგური გდინია. დიდი ელავატორები, მანქანები ანცვიფრებენ ყველას. იმ ადგილას, სადაც ამ ოცი წლის უკან რამდენიმე ქოხი იყო, ეხლა მშვენიერი, უზარმაზარი შენობებია გამართული. ვაჭრობა-წარმოება უცხოელებთან ფართოდ განვითარებულია. აი დიდი კოხტა სავაჭრო გემები, აი ამაყად მომცურავი სამხედრო ფლოტი და უნებლიედ დაასკვნით, რომ მოდის ძლიერი პოლონეთი!..

ამ მშვენიერ, რაინდულ ქვეყნის ისტორია ქართველმა კარგად იცის. იგი იყო წამებული, როგორც ჩვენი ერი. მისი წარსული ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ისეთივე იყო, როგორიცაა ჩვენი სამშობლოს ბრძოლა. პოლონეთი თავისუფალია. საქართველო ჯერ არა.

პოლონეთი გვერდში ამოუდგა განათლებულ კულტურალურ ქვეყნებს—თავი დააღწია მონობას და შრომით შეჰქმნა დიდი სახელმწიფო. საქართველო კი ისრისება, იჟლიტება...

ჩვენთვის ქართველებისათვის პოლონეთის მკვდრეთით აღდგომა უნდა იქნეს დიდი და ძვირფასი მაგალითი.

გრ. ღრაგველიძე.

## ვის ატყვილებენ?

ჟურნალ «კავკასია»-მ თავის მე 10 ნუმერში (ოქტომბერი) დაბეჭდა სრულიად ყალბი კორესპოდენცია ჩემმიერ სოშოში გაკეთებულ ორ მოხსენებაზე ამა წლის 22 აგვისტოს და 15 ოქტომბერს.

ეს კორესპოდენცია პირველ ჩემს მოხსენებაში მათქმევინებს ერთა ლიგის და ასოციაციათა ინტერნაციონალურ უნიონის უზომო ქებას, «ფრონტ პოპულერის აუცილებლობას, და მის დიდ მნიშვნელობას ერთა თვითგამორკვევისა და მისი სამართლიანი გზით გადაწყვეტისთვის». ამ ქებას იქაური სოც.-დემოკრატები ისე აღტაცებაში მოუყვანია, რომ მათ «მადლობის ნიშნად, დიდი ზეიმი გადამიხადეს თურმე ბანკეტის სახით.—მეორე ჩემი მოხსენება «სულ წინაამდეგი» ყოფილა პირველისა, რასაც იმავე აუდიტორიის წინაშე, რომელიც ასე აღტაცებაში მოიყვანა პირველმა მოხსენებამ, დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია, რადგან თითქოს მეთქვას: «ერთა ლიგა, რომელზედაც მე დიდ იმედებს ვამყარებდი ჩემს ჟენევაში ყოფნისას, და მთელი ჩემი მუშაობა უნიონში უნაყოფო გამოდგა... მე გულახდილად უნდა აღვნიშნო, მიუნხენის ხელშეკრულების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა ჩემს აზროვნებაშიო».

საჭიროდ მიმაჩნია სიმართლის აღსადგენად შემდეგი განვაცხადო:

1. სოშოში 22 აგვისტოს გაკეთებულ მოხსენებაში ერთა ლიგა მე არ მიქია. პირიქით, კრიტიკა გავუკეთე მას და ავხსენი მისი დამარცხებების უმთავრესი მიზეზები, რომ მან ვერ გაამართლა იმედები, «რადგან, ვამბობდი მე, ეს უდიდესი ამბავი კაცობრიობის ისტორიაში—ლიგის დაარსება ერთა შორის ყოველივე კონფლიქტის მშვიდობიანად სამართლიანი გზით გადასაჭრელად—ბუნებრივი მოვლენა იყო, როგორც საერთაშორისო განწყობილებათა განვითარების აუცილებელი შედეგი. მაგრამ ის ხელოვნურად ჩამოაქვეითეს, დაავლახაკეს მისთვის «სამღვთო კავშირის» სულის ჩაბერვით, გამარჯვებულთა კოალიციის შინაარსის მიცემით, დამარცხებულ ერთა აუცილებელ საჭიროებათა ანგარიშის არ გაწევით, პატარა ერების დიდებისათვის შესაჭმელად მიგდებით». ათ წელზე მეტია ამ აზრს ვატარებ კალმით პრესაში და სიტყვით ყოველივე ინტერნაციონალურ კონგრესებზე (იხ. ანგარიშები «დამ. საქართველოში»), თუ პირად შეხვედრებისას ყველა ქვეყნების წარმომადგენლებთან მუსაიფის დროს, რასაკვირველია საქართველოს საკითხთან შეფარდებით. ეგევე შევნიშნე 15 ოქტომბერს მიუნხენის შეთანხმებაზე წაკითხულ მოხსენებაში. მაშასადამე, ყოვლად შეუძლებელია ამ ორი მოხსენების ერთიმეორის დაპირდაპირება, რომლებიც სწორედ ერთმეორეს ავსებდენ.

2. «ფრონტ პოპულერზე» 22 აგვისტოს არ მილაპარაკნია. თუ ის ვახსენე, მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დაბნეულობა და გართულებები შეიტანა მან ინტერნაციონალურ ცხოვრებაში, საიდანაც ყოველივე კეთილსინდისიერი მსმენელისათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ მე მაგ მიმართულების მოტრფიალე კი არა, მუდამ შეურიგებელი მოწინაამდეგე ვიყავი. მართლაც, ბოლშევიკებთან დაახლოებას ყოველთვის და ყოველგან ვებრძოდი, რადგან—ეს ჩემი ღრმა რწმენა მრავალჯერ სახალხოთ მითქვამს—«ბოლშევიკების მეგობრად ყოლა გაცილებით უფრო საშიშია, ვინემ მტრად რომელიმე ერისა თუ პარტიისათვის»...

3. მართალია, ჩვენი თანამემამულენი დიდი პატივისცემით შემხვდენ სოშოში, სადაც დიდი ხანია მიწვევდენ, მეც ძალიან მსურდა, ხოლო, სამწუხაროდ, მანამდის ვერ მომეხერხებია. მაგრამ სრულებით არაფერ შუაშია აქ სოციალდემოკრატობა და სავსებით სიმართლეს მოკლებულია, თითქოს ეს მათ ექნათ იმიტომ, რომ ჩემი მოხსენება მოეწონათ. ვინაიდან ბანკეტი გამიმართეს 21 შუადღისას, მოხსენებას კი ადგილი ჰქონდა 22 აგვისტოს.

4. **დიდმნიშვნელოვანობაზე** 22 აგვისტოს მართლაც ვილაპარაკე, მაგრამ არა თავისთავად ერთა ლიგისა, არა უნიონისა, არამედ მათ წრეებში და მათ ირგვლივ ჩვენს მუშაობაზე ჟენევაში, ამ საერთაშორისო ცენტრში, სადაც 18 წლის განმავლობაში რეგულიარულად იკრიბებიან 50 სახელმწიფოს წარმომადგენლები, რომლებისათვის საქართველოს დიადი წარსულის და დღევანდელი მისი საშინელი მდგომარეობის გაცნობას, მისი მომავლის გარკვევით, დიაღაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ეს მით უმეტეს, რომ არც ისე შორსაა ის დრო, როცა იგი სამი დიდი სახელმწიფოც კი შედიოდა ერთა ლიგაში, რომლებიც დღეს ყველას ყურადღებას იპყრობენ და თუ ახლაც, მიუხედავად ამისა, ეს ძლევამოსილი ქვეყნები, რომელთაც საშუალებები და გავლენა არ აკლიათ, ჟენევაში მუშაობისათვის პირველხარისხოვან მოღვაწეებს ნიშნავენ რწმუნებულებად, განა ჩვენ უნდა ვთაკილობდეთ ამ ფართე ასპარეზის სარგებლობას? ღირსშესანიშნავია, რომ იაპონელი, გერმანელი და იტალიელი ასოციაციები მხოლოდ ამ წელიწადს გავიდენ ინტერნაციონალურ უნიონიდან (გერმანელი ახლაც განაგრძობს ჟურნალ «Volkerbund»-ის—«ერთა ლიგა»—გამოცემას ჟენევაში, რაც წარმოადგენს მშვენიერ დოკუმენტაციას ფრანგულ ენაზე) და ისინი არ გავიდოდნენ, რომ ზოგი წრეები ბოლშევიკებს არ ასდევნებოდენ და მათებრ ფლიდი კამპანია არ ეწარმოებიათ ატმოსფერის მოსაწამლავად, რითაც ბოლოსდაბოლოს თავიანთ თავს უფრო ავნებს, ვინემ ხსენებულ ქვეყნებს.

დღეს საქართველოს განათლებული კაცობრიობა საკმაოდ იცნობს. წარმოდგენა მისი დიდი წარსულის, მისი უძველეს ცივილიზაციის ღრმად შესულია ყველა ერის შეგნებაში. ეს დიდი საქმე გაკეთებულია უმთავრესად ჟენევაში მუშაობით, რომელიც უეჭველად ძვირფასია, მიუხედავად იმისა—ერთა ლიგა ალმა ფრენას მიეცემა, თუ ერთიანად დაინგრევა. ამ მუშაობაში მეც მიდევს წილი. ამიტომ ვერ ვიტყოდი 15 ოქტომბრის მოხსენებაში: «მთელი ჩემი მუშაობა უნაყოფო გამოდგაო».

5. სწორია, რომ 15 ოქტომბერს ვსთქვი: «მიუნხენის შეთანხმება უდიდესი ამბავია ამ უკანასკნელ 18 წლის განმავლობაში, რადგან ესაა დიდი გადატე-

ხა ევროპის გამთელება-განახლებისა და ბოლშევიკური რუსეთის სრული იზოლაციის გზაზეო». მთელ ორ საათს ასეთ შეთანხმების აუცილებლობას ვასაბუთებდი. განვაცხადე: «ოთხთა შეთანხმებაში გასაკვირი არაფერია, ის ბუნებრივიცაა და მას შესაფერი დიდი შედეგები უნდა მოყვეს ლოღიკურად, რა საკვირელია, თუ რაიმე კატასტროფა არ მოხდა». მოყვა მრავალი კითხვების დასმა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არ ჰქონია. მაგონდება ბ. პირაქაძე და ბერეჟიანი, რომელთაც კარგადაც ილაპარაკეს. უკანასკნელმა თავისი სიტყვა ასე დაიწყო: «მე ასი პროცენტით ვუერთდები ბ. მომხსენებელსო». მხოლოდ ერთი ორატორი არ ეთანხმებოდა ჩემი მოხსენების შინაარს: ბ. ორაგველიძე. ამიტომაც მან განგებ, საპოლემიკო მიზნით, ირონიულად მომაწერა მიუნხენის შეთანხმების გამო აზრის გამოცვლა, რამაც ყველას ღიმილი გამოიწვია. მე მაინ მაშინვე სერიოზულად ვუპასუხე: «არა, სრულებით არავითარი ცვლილება არ მოუხდენია ოთხთა შეთანხმებას ჩემს აზროვნებაში. პირიქით, მან ის დამიდასტურა, რასაც წინეთ ვფიქრობდი». იმედი მქონდა ასეთი კატეგორიული განცხადების შემდეგ მაინც გაუგებრობას ადგილი აღარ ექნებოდა. მაგრამ მოვსტყუვდი: «კავკასია»-ში სწორედ იმის წინაამდეგს მაწერენ, რაც განმეორებითა ვსთქვი.

კვლავ იბადება კითხვა: რად ესაჭიროება «კავკასია»-ს რედაქციას მუდმივ ფაქტების დამახინჯება და ხშირად მათი სავსებით შეთხზვაც? უვიცობით მოსდის, თუ განზრახ ჩადის ამას? თავს ატყუებს თუ სხვას?

სარიტონ შავიშვილი.

ჟენევა, დეკემბერი.

## «ნავთი და მაჰმადი»

გერმანულ ენაზე გამოვიდა გერმანელი მფრინავი ოფიცრის ჰერბერტ ფოლკის წიგნი «ნავთი და მაჰმადი». ავტორი ომის დროს იყო ტყვედ რუსეთში და შემდეგ ფარულად მუშაობდა განსაკუთრებით კავკასიაში, როგორც თავისი ქვეყნის აგენტი. თავის 280 გვერდიან წიგნში ის თვალწინ გვიშლის თავის მოგონებებს და დასკვნებს კავკასიის ერთა ბედის შესახებ, თავის სამშობლოს ინტერესებთან და პოლიტიკასთან დაკავშირებით.

ამ საინტერესო წიგნის შინაარსი მოკლედ შემდეგია.

ჰერბერტ ფოლკი ხვდება რუსის ტყვეობაში 1915 წელს. ტყვეთა ბანაკიდან გაპარვით ლამობს ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის გზით საზღვარზე გადასვლას და სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. საზღვარზედ იჭერენ და ატუსაღებენ. მას უხდება მტანჯველი მოგზაურობა საპყრობილედან საპყრობილეში და გამასწორებელ სახლში. მაგრამ გერმანელი ოფიცერი გულს არ იტეხს და მუდმივ იმას ჰფიქრობს, თუ რა სამსახური გაუწიოს თავის სამშობლოს, თუნდაც ტყვეობიდან. კარგად ესმის, რომ გერმანიის მთავარ სისუსტეს საერთაშორისო ომში სურსათის და ნედლეულობის ნაკლებობა, განსაკუთრებით კი უმნიშვნელოვანესი საომარი ნედლეულის—ნავთის—უქონლობა წარმოადგენს. იცის აგრეთვე, რომ ის სწორედ ნავთით მდიდარ ქვეყანაში იმყოფება. ისიც გაგებული აქვს, რომ ე. წ. «რუსის ნავთი» კავკასიის მიწის გულიდან აღმოხეთქს, იმ კავკასიის, რომლის ერნიც რუსეთის უღლიდან გათავისუფლებას ეტრფიან. ფოლკი ეცნობა ტყვეობაშივე სხვადასხვა პირებს როგორც გერმანელებიდან ისე რუსეთის სხვა არარუს ერებიდან, რომელნიც აფართოებენ მის ცოდნას როგორც ნავთის საკითხში ისე რუსეთის ეროვნებათა ვითარებაზე. უპირველესად შთაბეჭდილებას ახდენენ რუსეთის თურქ-თათარ ანუ მუსულმანურ ერთა წარმომადგენელნი, რომელთა ეროვნულ აღტყინებას მათი რელიგიაც აღრმავებს. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ ბაქოს და გროზნის ნავთი მაჰმადიან ერთა მიწა წყალზეა. ფოლკი ეცნობა ჩრდილო-კავკასიელ სეპარატისტებს. გებულობს, რომ კავკასიის ერნი სიამოვნებით გაუწვდიან მეგობრულ ხელს იმ სახელმწიფოს, რომელიც რუსეთის იმპერიის დაშლას და მათ გათავისუფლებას ხელს შეუწყობს. ხედავს, რომ პოლიტიკურად და კულტურულად ჩამორჩენილი თურქეთი კავკასიის ერთა განმათავისუფლებლის და მფარველის როლს ვერ შეასრულებს, რომ მას არ მიიღებენ განსაკუთრებით საქართველო და სომხეთი და არც ჩრდილო-კავკასია. მხოლოდ მონათესავე აზერბაიჯანი მიიღებს მას, მაგრამ ისიც მოსურნეა, რომ თურქეთს მოჰყვეს კულტურული გერმანია. ფოლკი ხედავს, რომ გერმანიას საერთოდ ადვილად შეუძლია კავკასიის ერთა გართავისუფლებას ხელი შეუწყოს და აქედან დიდი სარგებელიც გამოიტანოს. ლეიტენანტ ფოლკს მეტად იტაცებს ამის პერსპექტივები. წყურია, გახდეს გერმანიის ლავრენსი. «ნავთი და მაჰმადი გერმანიისთვის!» ამ ლოზუნგით ლამობს სამშობლოსთვის უდიდესი სამსახურის გაწევას.

დგება 1917 წელი. რუსეთში გრგვინავს რევოლუცია. ფოლკი ახერხებს ომსკის სატუსაღოდან განთავისუფლებას და მიდის ჯერ მოსკოვში. აქედან კი მალე მიეშურება კავკასიაში, თავის ავსტრიელ მეგობარ, აგრეთვე აქტიურ და საქმის მცოდნე ოფიცერ, იურისპრუდენციის დოქტორ რაისთან ერთად. ისინი ჯერ ბინავდებიან ჩრდილო-კავკასიაში, როგორც ინგუშთა ერთი მეთაურის ისმაილ-ბეგის სტუმრები. «ჰინდენბურგის ოფიცრები»—როგორც მათ ჩუმად უწოდებენ კავკასიაში—ეხმარებიან მთიელ მეგობრებს მომავალი განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის მზადებაში: მებრძოლთა გაწრთვნაში და ორგანიზაციაში. 1917 წლის ზაფხულში ისინი გადმოდიან საქართველოში, რომელსაც ფოლკი კავკასიის ცენტრალურ ქვეყანას უწოდებს, გამოწყობილნი ჩოხებში და აღჭურვილნი ინგუშთა პასპორტებით.

ტფილისში სარბიელი გაცილებით უფრო ფართეა, მაგრამ უფრო სახიფათოც. ჯერ კიდევ სხვა და სხვა რუსული უწყებები, ჯარის ნაწილები და პო-

ლიცია, მრავალრიცხოვანი აგენტები რუსების და ანტანტის (მათ შორის მრავალი სომეხი) სდევნიან გერმანელთ. ქართველ სეპარატისტებსაც დიდი სიფრთხილე მართებთ. თუმცა ზოგი მათგანი უკვე ბერლინში იმყოფება, და ზოგსაც კავშირი აქვს ფოლკთან და მის მეგობრებთან. ფოლკს და რაისს ესმით გერმანულ წყალქვეშა ნავების საქართველოს ნაპირზე გამოჩენის ამბავი და სხვა, მაგრამ ტფილისში ყოფნა მით უმეტეს სახიფათო ხდება, და ისინი მოეშურებიან ბაქოსკენ. აქ ისინი ცხოვრობენ აზერბაიჯანელი კაპიტალისტის ისაბეკ აშურბეკოვის ბინაზე, და განაგრძობენ იმავ მუშაობას, რომელიც დაიწყეს ჩრდილო-კავკასიაში. სამუშაო ბევრია. შედარებით ადვილიც, მხოლოდ თურქთა აგენტები, რომელნიც აქ მეტად აქტიურნი არიან. და რომელთაც გერმანელთა მუშაობა არ ესიამოვნებათ. უშლიან მათ ხელს.

დგება 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერი. ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთის იმპერიის დაშლის პროცესს აღრმავებს და მის ერთა დამოუკიდებლობისადმი მისწრაფებას აჩქარებს. ფოლკიც მიიჩქარის გერმანიაში, რომ ყოველივე პირადად მოახსენოს მთავრობას და გენერალურ შტაბს. მაგრამ იძულებულია იმოგზაუროს სპარსეთ-მესოპოტამიის ძნელი გზით. სპარსეთში ფოლკი ეცნობა «ტყის მეფეს», შაჰის გამდგარ ბიძაშვილს, მირზა ქიუჩიკ ხანს, რომელიც უღრან ტყეში აგებულ მიუვალ სასახლეში ბინადრობს და აქ აგროვებს მებრძოლებს, რომ სპარსეთი გაათავისუფლოს რუსების და ინგლისელების გავლენა-ბატონობისაგან. «ტყის მეფე» გერმანიის ბუნებრივი მოკავშირეა.

სპარსეთში ფოლკი ღებულობს ბრძანებას, წავიდეს ნაზარეთს, რათა იქ მოხსენება გაუკეთოს გენერალ ფალკენჰაინს. ეს საქმის გაჭიანურებას და ძვირფასი დროს დაკარგვას ნიშნავს, მაგრამ რასაკვირველია ბრძანება უნდა შესრულდეს. ფალკენჰაინთან მოხსენების შემდეგ ფოლკი მიეშურება სტამბოლით ბერლინისკენ. 1918 წლის თებერვლის ბოლო რიცხვებში ფოლკი უკეთებს მოხსენებას საგარეო სამინისტროს ბერლინში და მთავარსარდლობას ქ. კროიცნახში. ჰინდენბურგს და ლიუდენდორფს სავსებით ესმით ფოლკის მისწრაფება და წინადადებები. მაგრამ პოლიტიკოსები კი რყევას განიცდიან. «დიპლომატიური დაბრკოლებები», «ბრესტ-ლიტოვსკის ზავი» და სხვა. მაგრამ მალე კავკასიაში უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბები ხდება. კავკასიის ერები აცხადებენ დამოუკიდებლობას ამავე დროს თურქეთი უფრო და უფრო იჭრება კავკასიაში. საქართველო უთანხმდება გერმანელი ჯარის სარდლობას და მისი დახმარებით საზღვარს უდებს თურქთა წინსვლას. თურქეთი თავის მხრით უთანხმდება აზერბაიჯანს და იჭრება ბაქოში, საიდანაც განდევნიან ბოლშევიკებს და სხვა ელფერის წითელ რუსებს.

ფოლკი ღებულობს ბრძანებას, წავიდეს საქართველოში, გენერალ კრესსის განკარგულებაში. საქართველოში ფოლკი ხედავს, რომ მისი ლოზუნგიდან «ნავთი და მაჰმადი» ცოტაღა დარჩა. მაჰმადიანური აზერბაიჯანი თურქეთთან არის. ჩრდილო-კავკასიის უდიდესი ნაწილი ბოლშევიკების ხელშია. ამასთანავე თურქთა აგენტები ამხედრებენ მთიელ მოსახლეობას არა მარტო ბოლშევიკების, არამედ აგრეთვე გერმანელთა მოსალოდნელი წინსვლის წინაამდეგ. პროპაგანდა, რომლის ხარჯებსაც თურქეთი ფარავს თვით გერმანიიდანვე მიღებული მრავალმილიონიანი კრედიტისგან! საქართველოში შემოხიზნულ «ჩერმოევის მთავრობასაც» (ჩერმოევს მოჰყვა დღეს კარგად ცნობილი ბამატი) ფოლკი ერთავად თურქეთის აგენტებად სთვლის. მხოლოდ საქართველო წარმოადგენს (1918 წლის ზაფხულში) გერმანიის გავლენის სფეროს, მაშინ როცა სომხეთი ჩრდილოეთისკენ იყურება, ვინაიდან მხოლოდ რუსთა იმედით ლამობს თურქების უკუქცევას. მაგრამ ფოლკი და მისი მეგობრები იმედს არ კარგავენ. მათ კარგად ესმით საქართველოს დიდი მნიშვნელობა კავკასიაში. ფოლკი მუშაობს კვლავ დაზვერვის განყოფილებაში, ებრძვის მოპირდაპირეთა აგენტებს და აწზადებს ჩრდილო-კავკასიის ბოლშევიკებზე გალაშქრებას ჩრდილო-კავკასიელებიდან მას განსაკუთრებით უკავშირდებიან ქრისტიანი ოსები. თურქთა აგენტები კი თვით ბოლშევიკებსაც ატყობინებენ გერმანელ აგენტების ჩრდილო-კავკასიაში მუშაობის შესახებ. ფოლკი და მისი მეგობრები ბეწვზე გადაურჩებიან ბოლშევიკების ტყვიებს კავკავში. და თავს უშველიან საქართველოში დაბრუნებით. საქმე მაინც იჩარხება. ჩრდილო-კავკასიაზე გალაშქრება მზადდება...

მაგრამ დგება 1918 წლის ნოემბერი. გერმანიის და მის მოკავშირეთა დამარცხება მსოფლიო ომში კავკასიაშიც სრულიად ახალ მდგომარეობას ჰქმნის. გერმანელები იძულებულნი არიან დასტოვონ საქართველო. პირველ რიგში ფოლკივით აქტიურნი მებრძოლნი უნდა წავიდენ. ფოლკი მიდის გემით ფოთიდან ოდესამდის და აქედან პოლონეთით ბრუნდება გერმანიაში, რომელიც განიცდის დამარცხების ტანჯვებს და რევოლუციონურ მღელვარებებს. მალე ის ადგენს ბოლშევიზმის წინაამდეგ მებრძოლ მოხალისეთა რაზმს და მიდის ბალტიის სახელმწიფოებში. მიტავაში მას 1919 წელში სჭრის ბოლშევიკების ტყვია. ეს მესამე ჭრილობაა, რომელიც ფოლკმა საერთაშორისო ომში და მის შემდეგ მიიღო. ის კვლავ ბრუნდება სამშობლოში.

ჩვენი ავტორი შემდეგაც გამუდმებით თვალყურს ადევნებს კავკასიის ამბებს: ამიერ-კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ვითარებას. მათ დაპყრობას წითელი მოსკოვის მიერ 1920 და 1921 წლებში, საქართველოს 1924 წლის აჯანყებას (ფოლკი შეცდომით ამბობს 1923 წელს. ასევე შეცდომით ფიქრობს ის თითქოს ამ აჯანყების უკან ნავთის მეფეები მდგარიყვენ. ასევე შეცდომით აწერს ის აჯანყების ჩაქრობას ტროცკის, რომელიც ამ დროს უკვე გარიყული იყო). აჯანყებებს, რომელნიც 1931-1933 წლებში კავკასიის სხვადასხვა ნაწილებში ხდება და სხვ.

ფოლკი აგვიწერს მსოფლიო ნავთის კონცერნთა ბრძოლას როგორც ბაქოს ისე მოსულის გარშემო.

ძნელია თქმა, თუ რამდენად შეეფერება მთელი ეს მოთხრობა სინამდვილეს, მაგრამ საერთო სურათი მაინც საინტერესო და საგულისხმიეროა.

ფოლკი უსაყვედურებს გერმანიის ომის დროინდელ და ვაიმარის პერიოდის მთავრობებს, რომ მათ ვერ გაიგეს ნავთის და კავკასიის ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალა და მნიშვნელობა. ომის დროის მთავრობებმა ვერ დაუჭირეს ამ ერებს მხარი დროიანად და საკმაოდ ენერგიულად და ვერ შეუწყვეს ხელი მათი სახელმწიფოების გამაგრებას. ვაიმარის პერიოდის მთავრობებიც თავიანთი პოლიტიკით (რაპალო!) ხელს უწყობდენ და ამაგრებდენ მოსკოვს. თუ არ ასეთი პოლიტიკა, კავკასიის ერთა ბედი და გერმანიის ინტერესების ბედიც კავკასიაში, იქნებ თვით ომის ბოლოც სხვანაირი იქნებოდაო, დაასკვნის ავტორი და ათავებს თავის წიგნს მწარე ამოძახილით: «არავის უნდა ჰქონდეს ნება პოლიტიკა აწარმოოს, ვისაც ნავთის პოლიტიკა არ ესმის!»

რასაკვირველია მხურვალე და განაწამები მებრძოლის ჰერბერტ ფოლკის წიგნს არ შეუძლია პრეტენზია ჰქონდეს, რომ ის მეცნიერული საფუძვლიანობით დამუშავებული იყოს. მასში არის შეცდომები დეტალებში და გადაჭარბებანიც. მაგალითად: უსაფუძვლო საყვედური განსვენებულ გიორგი მაჩაბელზე, თითქოს ის ბერლინში თავისთვის საქართველოს მეფობას ეძიებდა; გადაჭარბებული წარმოდგენა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა როლზე; უსაფუძვლო საყვედური საქართველოს მთავრობის მიმართ, ვითომც მას არ ესმოდა კავკასიის ერთა ერთობა-კავშირის მნიშვნელობა. მაგრამ მთავარია—მითითება კავკასიის ეკონომიურ და პოლიტიკურ ფაქტორთა დიდ მნიშვნელობაზე, თანაგრძნობითი მოთხრობა კავკასიის ერთა ტრაღიკული ბედის შესახებ, გაშუქება მრავალნაირ ინტერესთა წინააღმდეგობისა (თვით გერმანიასა და თურქეთს შორისაც!) კავკასიის საკითხში და ეს აძლევს ფოლკის წიგნს ღირებულობას და აქტუალობის ხასიათს.

ნ. ი.

## წერილი ამერიკიდან

ძველი თქმულება «დრონი მეფობენ და არა მეფენი» ო, არც ისე ვადაგასული ყოფილა.

შეერთებულ შტატების ყოფილ პრეზიდენტის განსვენებულ ვუდრო ვილსონის მცნება «ერთა თვითგამორკვევა», რომელიც დიდი ომის მიწურულში მოევლინა მსოფლიოს და დიდი იმედები გაუღვიძა პატარა ერებს, მიწყნარებულ იქმნა ვერსალის ზავის შემდეგ დიდი ერების მიერ.

ამ ოცი წლის განმავლობაში ხდებოდა ერთა ერთგვარი გადაჯგუფება და დარაზმვა, ომისგან მოპოვებული ნადავლის გამაგრება, და სხვა... ამან შემოიყვანა, მიუხედავად პოლიტიკური უსუფთაობისა, ერთ დროს გარიყული საბჭოთა რუსეთი ერთა ლიგაში, მაგრამ დროთა მსვლელობამ კეხი იბრუნა.

ბუმბერაზი და ძლიერი რუსეთი ახლა არავისთვის საჭიროებას არ წარმოადგენს. საფრანგეთი და ინგლისი უახლოვდებიან გერმანიას. ხდება საბჭოთა კავშირის იზოლაცია ევროპის კონცერტიდან და რამდენად ეს იზოლაცია და განრიყვა გამაგრდება-იმდენად რუსეთის ძალა საჭირო აღარ იქნება საერთაშორისო მასტაბში ამ თუ იმ ერისთვის. კიდევ მეტი, დიდი რუსეთი არა სასურველიც და საშიშოც გახდება. რადგან დღეიდან მისი გადაბირება ადვილად შეიძლება რომელიმე მოწინააღმდეგე მხარეზე.

ამიტომ თუ დღემდე საფრანგეთი და ბრიტანეთის ინტერესი იყო მთლიანი და ძლიერი რუსეთი და მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა დიდი იმპერიის კალთებში ძალით მომწყვდეულ ერების განთავისუფლება, «თვითგამორკვევა», ამიერიდან ეს იცვლება.

ცნობილია, თუ რომელიმე დიდი ერის ინტერესს არ უახლოვდება პატარა ერის ინტერესები, მაშინ ყოველნაირი მუშაობა და «გავლენის მოპოვება» ცოტა შედეგებს იძლევა, თუმცა არა უნაყოფოა, რადგან მოხერხებულ დროისთვის ნიადაგი მზადდება.

მაგრამ როცა ინტერესთა შეთანხმება არსებობს, მაშინ პატარა ერმა მდგომარეობა უნდა გამოიყენოს. პატარა ერებმა უნდა გაასკეცონ მუშაობა და დაუმტკიცონ დიდ ერებს, რომ პატარა ერთა თვითგამორკვევა მოასწავებს ქვეყნიერების დაწყნარებას...

ერთა თვითგამორკვევის ლოზუნგი, რომელიც ოცი წლის განმავლობაში დავიწყებული იყო, განახლებული სიმძლავრით უნდა გაიშალოს, რის მაგალითებს უკვე ბევრ ალაგას ვხედავთ. უკმაყოფილო და დაჩაგრული ერები, სადაც შესაძლებელია, ფეხზე დგებიან. შეიძლება ამ მოსაზრებით იყო ამჟამად აქ მოწყობილი თვალსაჩინო დემონსტრაცია.

19 ნოემბერს ნიუორკში უკრაინელების მიერ დიდი დემონსტრაცია გაიმართა, რომელშიც მიუხედავად წვიმისა 15.000 ქალმა და კაცმა მიიღო მონაწილეობა. ეს დიდძალი ხალხი (ბევრი გამოწყობილი იყო ნაციონალურ ტანისამოსში) სათანადო დროშებით, პლაკატებით და მუსიკით მოითხოვდა უკრაინელი ერის დამოუკიდებლობას. პარადს მიუძღოდა დიდ მანქანაზე ლამაზად მორთული პლატფორმა ნაციონალურ ემბლემებით და წარწერებით. უმთავრესი ქუჩების და სკვერების განვლის შემდეგ ხალხი შეიკრიბა, ვისაც შეეძლო შესვლა, «ოპერა ჰაუზში», რომელიც შეიცავს რამდენიმე ათას ადგილს და რომელიც გაიჭედა დემონსტრანტებით.

მოლაპარაკეთა შორის იყვნენ: დოქტორი ლუკა მიშუღა, გამომცემელი უკრაინელების უდიდესი დღიური გაზეთის «სვობოდა» სი, მიხეილი პიზნაკი, პრეზიდენტი ნიუორკის უკრაინელთა საზოგადოებისა, ვ. დუშნიკი, უკრაინელთა ნაციონალურ გაზეთის გამომცემელი, მღვდლები მ. დანილოვიჩი და ჯ. ჰუნდიაკი და ბევრი სხვა...

ორატორები აღწერდენ უკრაინელების ეკონომიურ და პოლიტიკურ უმწეო მდგომარეობას და მოითხოვდენ დამოუკიდებლობას.

მიღებულ იქმნა რამდენიმე რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნა შეერთებულ შტატების პრეზიდენტს და ევროპის ყველა სახელმწიფოს.

უკრაინელების ორგანიზაცია აქ მძლავრია და მომქმედიანი. წინა წლებში ის არა ერთჯერ გამოსუ ლა პროტესტებით საბჭოთა რუსეთის ბარბაროსობის წინაამდეგ უკრაინაში.

დოქტორი მიშულა ახლახან დაბრუნდა ევროპიდან, სადაც უკრაინელების მდგომარეობის შესასწავლად იყო გამგზავრებული.

—

«ნიუორკის ტაიმს»-მა საყურადღებო წერილი მოათავსა 27 ნოემბრის თარიღით. წერილის სათაური «უკრაინის სიმდიდრე იზიდავს გერმანიას» და ხელმოწერილია რობერტი ჰ. სკილტონის მიერ. წერილი ეხება უკანასკნელ დროებში გერმანიის მიერ მოპოვებულ ადგილებს. განსაკუთრებით იხსენიებს კარპატო უკრაინას ჩეხო-სლოვაკიაში, «რომელიც ადვილად შესაძლებელია გახდეს ცენტრი უკრაინის ფართო მოძრაობისა გერმანიის წინამძღოლობითო.

ცნობები იმისა, რომ ჰიტლერი მიილტვის რუსეთის უკრაინისკენ, ყირიმის და საქართველოსკენ, შეიძლება მოინახოს თვით მისი (ჰიტლერის) განცხადებებშიო.

რობერტი სკილტონი აღწერს ამ ქვეყნების სიმდიდრეს (ხორბალი, საქონელი, ანტრაციტი, ნავთი, ხე-ტყე და სხვა), რაც დიდად საჭიროა გერმანიასთვის და რაშიდაც გაუცვლიდა დამუშავებულ პროდუქციასო, და განაგრძნობს: «ნაცისტები არ ფიქრობენ მხოლოდ ეკონომიურ მოგებაზე, არამედ ამბობენ, რომ რუსეთის 32 მილიონი უკრაინელი არის ცალკე და განსაკუთრებული ერი, რომელიც გმინავს მოსკოვის უცხო უღელს ქვეშ და მოხარულია, გან თავისუფლდეს გერმანიის ინტერვენციით და დაარსდეს როგორც დამოუკიდებელი უკრაინის სახელმწიფო»-ვო...

ამას გარდა, ამბობს სკილტონი, გერმანიის განსაკუთრებულ ინტერესს ის წარმოადგენს, რომ უკრაინაში ცხოვრობს ნახევარი მილიონი გერმანელი, რომლებიც მიილტვიან გერმანიისკენო. ის აღწერს გერმანელების შემოყვანას ეკატერინე მეორეს და ალექსანდრე პირველის მიერ; გერმანელ კოლონისტების განცალკევებლად ყოფნას, მათ რუსიფიკაციის წინაამდეგ ბრძოლას 1892 წლამდე, როცა რუსეთის მთავრობა დაეპატრონა მათ სკოლას და მართველობასო.

1915-1916 წლებში ომის დროს რუსეთის მთავრობამ ეჭვი შეიტანა რუსეთის გერმანელებზე და ჩამოართვა ბევრს მიწა და გადაასახლა ციმბირშიო.

1918 წ. დასაწყისიდან ომის გათავებამდე გერმანიის ჯარს ეკავა უკრაინა; ხმარობდა ამ მხარეს როგორც ბაზას და აქიდან აწარმოებდა ტერიტორიალურ და ეკონომიურ ექსპანსიას.

გერმანიის ამბიციები რუსეთის განაპირა ქვეყნების მიმართ გამოცხადებულია ჰიტლერის «Mein Kampf» და როზენბერგის წიგნში «Der Zukunftsweg liner deutschen Aussenpoiitik», რომელიც დაწერილია 1927 წელში. მათი განცხადება არასოდეს ყოფილა უარყოფილი. ჰიტლერის ახლახან გაკეთებული განცხადება, რომ არ მოითხოვს მეტს ტერიტორიას ევროპაში,—სრულებით არ ეწინაამდეგება ზემოხსენებულ ამბიციებს, რადგან სრული მელობელობა განსხვავდება პროტექტორატისაგან და როზენბერგს ეს უკანასკნელი აქვს მხედველობაშიო.

დეკემბერში, 1933 წელს, როცა ჰიტლერი უკვე ძალაში იყო, მოსკოვმა გამოაცხადა უკრაინელ სეპარატისტების განადგურება, რომელთა ამბოხებას გერმანიას აბრალებდა. მას მერე სამჯერ დიდი შეთქმულობა აღმოაჩინა მოსკოვმა. დამნაშავეთ ბრალად ედებოდათ გერმანიასთან დამოკიდებულობა. მოსალოდნელია, გერმანია დაეხმაროს უკრაინელ სეპარატისტებსო..

ყოველ შემთხვევაში გერმანია ემზადება საბჭოებთან საომრად. რუსეთმა იცის ეს და სამაგიეროდ ემზადებაო. «სცენა უკვე მოწყობილია სამოქმედოდ: გერმანიას აქვს ანტიკომუნისტური პაქტი იტალიასა და იაპონიასთან. დუნაის ბასეინი მის გავლენის ქვეშ არის. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი ხდება უაზრო. ბრიტანეთთან სიწყნარეა. ასე რომ გერმანიის ძველი ოცნებები უახლოვდება სინამდვილესო».

ნაური.

## ვანდერველდეს გარდაცვალება

ეს ნუმერი შეკრული გვქონდა, რომ გავიგეთ ემილ ვანდერველდეს გარდაცვალება ბრიუსელში. ნეკროლოგს დავბეჭდავთ შემდეგ ნუმერში.

ჩვენი მთავრობის თავმჯდ. ბ. ნ. ჟორდანიამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გარდაცვალებულის მეუღლეს:

«ქართველი ერის სახელით გიცხადებთ ჩვენს მწუხარებას უდიდესი ბელგიელის ვანდერველდეს გარდაცვალების გამო. დებრუკერთან და ჰიუსმანთან ერთად 1920 წ. მან გაუწია დაუვიწყარი სამსახური საერთაშორისო ასპარეზზე ჩვენს ახალგაზრდა რესპუბლიკას. მისი ხსოვნა სამუდამოდ ჩაიბეჭდება საქართველოს მატიანეში.»

## მარიამ კობერიძე

18 აგვისტოს იუგოსლავიაში გარდაიცვალა ქალი ექიმი მარო კობერიძე-მახარაშვილი.

ახალგაზრდობის დროსვე თავისი კეთილის გულით და მუდამ სხვებზე ფიქრით დიდი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებაში. ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი კეკლუცი მარო გაჩნდებოდა, სიცოცხლე და სიმხიარულე ორკესდებოდა. დიდი თუ პატარა, ნასწავლი თუ უსწავლი, დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ.

თორმეტი თუ ცამეტი წლისა დაობლდა. დედა მშობიარობის დროს გარდაიცვალა. აი ამ დღიდან მარომ თავის იდეალად საექიმო ნაწილის შესწავლა დაისახა.

18 წლისამ ტფილისის საქალებო გიმნაზია დაასრულა. მაშინათვე შეუძლებლობის გამო ვერ შესძ-

ლო სწავლის გაგრძელება. უცდიდა შემთხვევას. ბედმა გაუღიმა. მალე გათხოვდა ექიმზე. ერთი წლის შემდეგ თავისი პატარა ქალით ეთერით გაემგზავრა მოსკოვში და საექიმო ფაკულტეტზე შევიდა. ორი წლის შემდეგ იფეთქა რევოლუციამ. ძლივს დააღწია თავი რევოლუციის ტალღებს; ბრუნდება სამშობლოში—გორში. მალე ტფილისში იხსნება უნივერსიტეტი. შედის საექიმო ნაწილზე. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ჩნდება ფრონტები. ყოველ ფრონტზე მუშაობს როგორც და სათნოებისა.

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ სტოვებს სამშობლოს და ქმარ-შვილით მიდის საზღვარ გარედ. რამდენიმე ხნის სტამბოლში ცხოვრების შემდეგ სახლდება პრაღაში და ეძლევა საშუალება სწავლის გაგრძელებისა. 1925 წელს ათავებს საექიმო ნაწილს. ამავე წელს თავის ქალიშვილით მიდის პარიზში. დიდის ენერგიით მუშაობს კლინიკებში. 1937 წელს ქალიშვილი ათავებს უმაღლეს სასწავლებელს; თვითონაც საკმაო მომზადებულად სთვლის თავს და ბრუნდება ქმართან იუგოსლავიაში (ფეჩი). იქ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სამუდამოდ გამოეთხოვება წუთისოფელს.

განისვენე მშვიდად, უდროოდ გამოსალმებულო ამ წუთისოფელს, კარგო ადამიანო.

მეგობარი.

## ოლია რამიშვილი

ბერლინის ქართველობას უდროოდ და მოულოდნელად მოსწყდა ერთი თვალსაჩინო, თუმცა მუდამ უჩინრად მდგომარე წევრი, რომლის დაკარგვამ ყველას ღრმად გული დაუსერა.

9 ნოემბერს არტერიის ავადმყოფობისგან უეცრად გარდაიცვალა ოლია რამიშვილი, მეუღლე საოკუპაციო უწყების მიერ 1922 წელს გადმოსახლებული ერეთეოზ რამიშვილის, წევრი მტრის მიერ გაჩანაგებული ქართველი ოჯახის, საყვარელი და თავდავიწყებით მზრუნველი დედა ორი ოხალგაზდა ქართველი ქალის. ადამიანი უბრალო, მაგრამ ღრმად განათლებული; ოჯახისთვის გამუდმებით და დაუღალავად მშრომელი; ყველასი გულშემატკივარი და ყველასაგან პატივისცემით მოსაგონარი. ის იყო თელაველი შეძლებული ქართველი სომხის ნ. ტერ-არუთუნიანის ქალიშვილი, მიიღო განათლება პეტერბურგის ქალთა უმაღლეს კურსებზედ, ლიტერატურის დარგში, და ცხოვრობდა უმეტესად საქართველოში და ჩრდილო-კავკასიაში. ჩვენი ქვეყნის უბედურებამ მასაც მეტად მწარე ფიალა შეასმევინა: ჯერ მძიმე წლები მოსკოველთა უღლის ქვეშ წვრილ შვილებთან ერთად და 1926 წლიდან აგრეთვე მძიმე წლები უცხოეთში. აქ მისი ხვედრი იყო მუდმივი ნივთიერი გაჭირვება, განაწილება თავის მეუღლის მძიმე გლოვის, რომლის მრავალრიცხოვანი ოჯახი საქართველოში თითქმის სავსებით მსხვერპლი გახდა ჯალათი მტრის, და განუწყვეტელი, თავდაუზოგველი ჯაფა და ზრუნვა თავის ოჯახზედ, განსაკუთრებით თავის საყვარელ ქალიშვილებზედ. ამ მძიმე გაჭირვება-ტანჯვებმა, ემიგრანტული ცხოვრების მთელმა სიდუხჭირემ ნაადრევად მოუსწრაფა მას სიცოცხლე და ჯერ კიდევ ახალგაზდა, მხოლოდ 45 წლის, გამოასალმა წუთისოფელს.

12 ნოემბერს ის დაკრძალულ იქნა შარლოტენბურგში, ლუიზეს სასაფლაოზედ მრავალრიცხოვანი საზოგადოების—ქართველების, სომხების, გერმანელების, რუსების და სხვ.—მონაწილეობით და გულმდუღარე გლოვით.

განისვენე მშვიდათ გერმანიის სტუმართმოყვარე მიწის გულში, სიცოცხლეში მოსვენებას მოკლებულო ძვირფასო ადამიანო. შენს ხსოვნას სათანადო პატივით შეინახავენ შენს დამწუხრებულ ოჯახთან ერთად შენი პატივისმცემელნი, რომელნიც შენ ხანმოკლე ცხოვრების გზაზე, თვით უმძიმეს წლებში, მრავლად მოიპოვე.

ნ. იმნაიშვილი.

## ა ნ გ ა ა რ ი შ ი

### ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა.

როგორც «დამ. საქართველოს» № 147 ში იყო გაცხადებული, 24 ივნისს 1938 წელს მეორე წიგნის გამოსაცემი ფონდი იყო 1.432 ფრანკი და 75 სანტიმი.

მას შემდეგ შემოსწირეს:

| | |
|---|---|
| ინჟინერმა ვ. გაბელაშვილმა | 100 ფ. |
| ვალიკო ინწკირველმა | 50 ფ. |
| ექიმმა კალისტრატე კახიანმა (შალვა აბდუშელიშვილის გადმოცემული) | 200 ფ. |
| მიშა ჩუბინიძემ | 100 ფ. |
| დარისპან მდივანმა | 100 ფ. |
| ირაკლი გორდელაძემ (ოსლოდან) | 152 ფ. 75 ს. |
| ორესტი გორდელაძემ (ოსლოდან) *) | 76 ფ. 35 ს. |
| სოშოს ქართველთა ასოციაციამ | 500 ფ. |
| გრიშა უჩაძემ | 140 ფ. |
| ლიონის ქართველ კოლონიამ (შალვა ანთაძის წარმოდგენილი) | 145 ფ. |
| ჩრდილო ამერ. შეერთებულ შტატებიდან პავლე კვარაცხელიასაგან | 339 ფ. 30 ს. |
| სულ ახლად შემოწირული შეადგენს | 1903 ფ. 40 ს. |

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემო აღნიშნულთ შემომწირველთ.

პირველი წიგნის გაყიდვიდან შემოვიდა 530 ფრ. სულ მეორე წიგნის გამოსაცემი ფონდი შესდგა 3.866 ფრანკი და 15 სანტიმი.

ამ თანხით დიდი წიგნის გამოცემა მსგავსად პირველი წიგნისა შეუძლებელი იყო, ამიტომ ჩვენ და-

*) ძმები ირაკლი და ორესტი გორდელაძენი სულ ახალგაზდა მოსწავლენი არიან. მათ ცოტა სამუშაო იშოვნეს და პირველი მათი მონაგები ჩვენს ფონდს შემოსწირეს. მათი შემოწირულობა განსაკუთრებით სასიამოვნოდ მოხვდა ჩვენს გულს. ვუსურვებთ მათ გაზდას და ყოველგვარ წარჩინებას. თქმა არ უნდა, ისინი ღირსეული მამულიშვილები გამოვლენ.

ვბეჭდეთ ნაწილი ეხლანდელი სამუსულმანო საქართველოს ძეგლების აღწერილობისა სათაურით: «არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგიში 1907 წელს». წიგნი შეიცავს 88 გვერდს კარგს ქაღალდზე დაბეჭდილს და დართული აქვს ხუთი ფაქსიმილე ტაოში ნაპოვნი სიგელებისა. ეს მით უფრო მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, რომ გეგმები და ნახაზები ამ წიგნში აღწერილი ძეგლებისა უკვე გამოცემულია (იხ. ქართული ხუროთმოძღვრების ალბომი, შედგენილი პროფ. ექ. თაყაიშვილის მიერ ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა. ტფილისი 1924, ტაბ. 12-35). ხოლო მათი ფოტოგრაფიული სურათები სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით გამოუცემელი რჩება.

ამ მეორე წიგნის გამოცემა დაჯდა სულ 3.873 ფრანკი და 10 სანტიმი. ამათგან ქაღალდის ფასში და აწყობა-დაბეჭდვაში მიეცა ბ-ნ ვ. ნოზაძეს 3.025 ფრანკი. კლიშეების დამზადება და დაბეჭდვა დაჯდა 848 ფრანკი და 10 სანტიმი. პირველი წიგნის დაგზავნის ხარჯი და სხვა წერილების და ფოსტის ხარჯი 180 ფრანკი და 50 სანტიმი. სულ მთელი ხარჯი შეადგენს 4.053 ფრანკს და 60 სანტიმს. გასავალს რომ შემოსავალი გამოვაკლოთ დარჩება «დეფიციტი» 187 ფრანკი და 45 სანტიმი.

მორიგ გამოცემის მესამე წიგნში უნდა მოთავსდეს «არქეოლოგიური ექსპედიცია სამუსულმანო საქართველოში, ტაო-თორთუმ-ისპირში 1917 წელს», რომელშიაც აღწერილი იქნება პირველ ხარისხოვანი ქართული ხუროთ მოძღვრების ძეგლები, იშხანი, ოშკი, ხახული, ოთხთა ეკლესია, პარხალი და სხვა. ამას წინ წაუძღვება მოკლე გეოგრაფიული და ისტორიული მიმოხილვა სამუსულმანო საქართველოსი, რომელიც წაკითხული იყო საჯარო კრებაზე 4 დეკემბერს 1937 წელს. გამოცემას მიუცილებლად დასჭირდება მრავალი სურათი გეგმებისა და ფოტოგრაფიებისა. ხოლო განხორციელება მისი დამოკიდებულია იმაზე, თუ ქართველი ემიგრაცია კვლავ დაგვდებს პატივს და შესძლებს საჭირო თანხის გაღებას. ჩვენ დიდად დავალებული ვართ ქართველი ემიგრაციისაგან და საჭიროდ ვთვლით ერთხელ კიდევ უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ყველა იმათ, ვინც თავისი წვლილი მოგვაწოდა და ამით საშვალება მოგვცა ამ ორი წიგნის გამოცემისა.

პატივისცემით ექვთიმე თაყაიშვილი.

## ქართველები პოლონეთში

არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია მ. გრ. ფერაძის თავმჯდომარეობით ქართველი მრევლის დასაარსებლად. კომისიამ უკვე გადადგა ნაბიჯები და სათანადო უწყებები თანაგრძნობით შეხვდნენ ქართველების განზრახვას.

## პირველი ქართული კონცერტი პარიზში

როგორც გავიგეთ ქართველ ახალგაზდათა ფილარმონიულ ჯგუფს განუზრახავს ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვის კონცერტის მოწყობა ერთ ერთ დიდ სამუსიკო დარბაზში 28 იანვარს. პროგრამა იქნება: ხალხური ძველებური სიმღერები ჩაწერილი ქართველ და უცხოელ კომპოზიტორების მიერ, ორკესტრით და კაპელა, აგრეთვე სოლოები და ქართული ცეკვა: კინტაური, სამაია. ქართული ანსამბლი აბესალომ და ეთერიდან და სხვა. გუნდი შესდგება ქართულ-უკრაინულ ახალგაზდა თაგან 25 კაცისგან. გუნდს ხელმძღვანელობენ ბ-ნნი პ. მოსულიშვილი და კომპ. პონომარენკო. გუნდი უკვე შესდგომია მუშაობას.

მთელი ქართველი საზოგადოება მოვალეა ხელი შეუწყოს ამ დიდ კულტურულ საქმეს თვით დასწრებით, თუ უცხოელებში პროპაგანდით. მით უმეტეს, რომ ბილეთები ყველასათვის ხელმისაწდომია.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის საშვალებით ჩემი და ჩემი ასულების ულრმესი მადლობა მოვახსენო ყველას, ვინც დეპეშა-წერილებით თუ დაკრძალვაში პირად მონაწილეობის მიღებით პატივი სცეს ჩემი ასე უდროოდ გარდაცვლილ მეუღლის ოლიას ხსოვნას და ჩვენც, უსაზღვროდ დამწუხრებულთ. ნუგეში არ მოგვაკლეს.

პატივისცემით ერეთელი რამიშვილი.

ბერლინი, ნოემბერი 1938 წ.

---

ამ ნუმრისთვის აწყობილი ზოგი მასალა უადგილობისა გამო გადაიდვა შემდეგისთვის.

---

დაბეჯითებით ვთხოვთ ხელის მომწერთ, დროზე შემოიტანონ ხელის მოწერის ფასი. ვიზედაც დარჩენილია ძველი, მოვაგონებთ, რომ გაასწორონ ანგარიში, მალე ვადაში.

---

გაზეთისათვის დასაბეჭდი მასალები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r PIRTSKALAVA

10. rue Jules Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)

France.

1938



# დამოუკ. საქართველოს 1938 წ. სარჩევი


I. მ ე თ ა უ რ ე ბ ი:

პროვოკაცია თუ ნაცარქექიობა 142. ისევ ძველი გზით 143. 21 პროცესი და ბერლინ-რომის ღერძი 144. რომის შეთანხმება 145. ოცი წლის გასწვრივ 146. მორიგი კომედია 147. პრომეთეს ფრონტი: იდეოლოგია 148. ტაქტიკა 149. ერთა თვითგამორკვევა 150. გამოფხიზლების გზაზე 151. 1939 წლის პერსპექტივები 152.

II. წ ე რ ი ლ ე ბ ი:

არიძე ბ. სრულ გამარკვევამდე 149.
ასათიანი ს. მეგობრის ხსოვნას 148.
ბიჩკოვსკი ვ. პრომეთეს პრობლემა 145.
გვაზავა გ. ვინ გასცა საქართველოს მიწა-წყალი 142. რუსთაველი და მისი შემოქმედება 143. ჩემი თარგმანი 150—151.
დარბაისელი. რუსთაველის დღეები საქართველოში და რუსეთში 144.
თაყაიშვილი ე. ჯვარის მონასტრისეული თთვენი 144. ი. დადიანის ხსოვნას 145.
ინგილო რ. უმართებულობა 142. ბამატი და მისი ხიზნები 144. კამათი საქართველოზე 146. ბოლოსიტყვაობა «კავკასიელების» მიმართ 148. ბედნიერნი და უბედურნი 151.
იმნაიშვილი ნ. «ნავთი და მაჰმადი» 152.
ის. ეროვნული პრობლემა რუსეთში 151.
მარტენ ქ. უკვდავი საქართველო 146. სოშოში წარმოთქმული სიტყვა 152.
მალშ ა. საქართველოსთვის 147. სოშოში წარმოთქმული სიტყვა 152.
მარკე ა. საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წლის თავი 146.
მაინარდი. სალამი ქართველ ხალხს 146.
მ. —ძე. ილია 142—145.
ნუცუბიძე ი. ქართველი დედა 146. თავის-ლიკვიდაცია 148. უკვდავება ხორცშესხმული 149. ყოფნა-არყოფნა 151.
დრაგველიძე გრ. პოლონეთი 20 წლის თავზე 152.
ოტმარ-ბერსონ. საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლაში 147.
სან-მანი. დახვრეტა გრძელდება 142. 26 მაისი დაკავკასია 146. დამოუკიდებლობიდან რუსიფიკაციამდე 148. კერენსკის ფიქრები 150.
სალაყაია ი. ევროპა დიდი ომის შემდეგ 152.
ხელეცვი. საქართ. დამოუკიდებ. 20 წ. თავზე 147.
ტუნტულიდი. 26 მაისის 20 წელი 147.
ფირცხალავა ს. ეროვნული აზრი და ეროვნული გრძნობა 143. ისტორია მეორდება 145. ერთობა და დისციპლინა 146. ძვირფასი წიგნი 147. აგვისტოსათვის 149. პოლონეთი და საქართველო 150.
ჟორდანია ნ. 20 წელი 146.
ქერული გ. ბათუმ-აჭარის მხარეები 143—5.
შავიშვილი ს. ღია წერილი «კავკაზი»ს რედაქციას 145. ვის ატყვილებენ 152.
P. E. B. ვაი დამარცხებულთ 148.
— სიმართლის აღსადგენად 142.
— მოულოდნელი მხრიდან 150.
— «მომავალი»-ს პატრიოტები 152.

III. საქართველოს საკითხის გარშემო.

ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციათა კრება 143. ბამატის წარსულიდან 144. სასიამოვნო შეხვედრა (ქ. მარტენი პრაღაში) 148. საქართველოს საკითხი საერთაშორისო პოლიტიკაში 149. საქართველოს საკითხი 150. სასიხარულო შეხვედრა (მარტენი და მალში სოშოში) 151.

IV. კ ა ვ კ ა ს ი ა.

მემორანდუმი 143. რას სწერენ სომხური გაზეთები 149. კავკასიის კონფედერაციის საბჭოს დადგენილება 151.

V. კორესპონდენციები.

ამერიკიდან 143, 147, 149, 151 და 152. გერმანიიდან 143, 148. სომხიდან 144, 150. საბერძნეთიდან 150.

VI. ქართველები უცხოეთში.

რუსთაველის დღეები უცხოეთში 142. ქართველები საფრანგეთში 142. ქართ. საბერძნეთში 142. პოლონეთში 142, 143, 144, 152. რუსთაველის დღესასწაული პარიზში 143. ბერლინში 144. რუსთავ. დღესას. სორბონში 144. მოხსენება საქართველოზე პრაღაში 145. ჟენევა კიდევ რუსთაველზე 145. 26 მაისის დღეობა 147 და 148. ვეფ. ტყაოსანი პოლ. ენაზე 149. ბერლინში 150.

VII. საქართველოს ამბები. 148 და 150.

VIII. უ ც ხ ო ე თ ი.

წლიური მიმოხილვა 142. დიდი გერმანია 145. უცხოეთის მიმოხილვა 149.

IX. ნეკროლოგები.

ს. მდივნის დასაფლავება 143. კარმანიოლა 142. სამგლოვიარო კრება 142. მადამ აიო 147. კ. საბახტარიშვილი 148. კ. საბახ—ლის დასაფლავება 148. ნიპოლდი 149. კ. თაყაიშვილი 149. გ. ჯაბადარი 149. კ. კაუცკი 150. სამგლოვ. ფურცელი 151. ო. რამიშვილისა 152. მ. კობერიძისა 152. ე. ვანდერველდე 152.

X. ბიბლიოგრაფია.

ა. მანველიშვილის საქართველოს საზღვრები 143. Georgica 146 და 148. რობაქიძის «გრალის დამცველნი» 146. ლეისპირელის დანგრეული ოჯახი 148. ბიბლიოგრაფია 150.

XI. ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა.

წერილები რედაქციის მიმართ 142, 143, 145 და 146. ანგარიშები 145, 146, 147, 152. პრესა 146, 147. ტუბერკულოზის კომიტეტისაგან 147, 148. ფრანგი მწერალი რუსთაველზე 148. მოწოდება 148, 151. მოსკოვის უკან დახევა (პრესა) 149. პანბოლშევიზმი—ლ.კიზმი (პრესა) 150.


Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS

D-1205